603/13.833

№ 60
(11 209)

31 ივლისი – 3 აგვისტო, 1998 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## მოწყალებას ვინც გაიღებს... ანუ ვინც დროულად ეხმარება – ორმაგად ეხმარება!

როგორც ადრე გიუწყებოდით, ქართველმა თანამედროვე ხუთჭიდელმა დავით ჭულუხაძემ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ეს სპორტსმენი თავის მწვრთნელ ამირან შეროზიასთან ერთად უკვე გაემგზავრა მეხიკოში, სადაც ჩემპიონატი ჩატარდება. სამწუხაროდ, უსახსრობის გამო, ბოლო დღემდე არ იყო გადაწყვეტილი ჭულუხაძის და შეროზიას გამგზავრება. ალბათ, ვერც გადაწყდებოდა „ეარჭორჯიას" და შპს „საქსპორტმშენექსპლოატაციის" ხელმძღვანელს თენგიზ რუხაძეს რომ არ აღმოეჩინა მატერიალური დახმარება. „ეარჭორჯიამ" არა მხოლოდ თბილისი — ფრანკფურტი — თბილისი, არამედ ფრანკფურტი — მეხიკო და უკან დასაბრუნებელი ბილეთების ღირებულებაც დააფინანსა. მართალია ეს სესხია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ სპორტის დეპარტამენტის ანუ სახელმწიფო ვალმა ამ ავიაკომპანიისადმი ასტრონომიულ ციფრს მიაღწია, კიდევ ერთი დახმარებისათვის ეარჭორჯიელებს მადლობის მეტი რა ეთქმით.

## ყურადღება!

გრძელდება საბუთების მიღება ახალი სასწავლო წლისათვის საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ფასიანი სწავლების ყველა ფაკულტეტზე

და

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის VII-VIII კლასებში სწავლებისა და სპორტში დაოსტატების საუკეთესო პირობებით.

მიხეილ აშვეთია დღეს თბილისის დინამოელთაგან ის საიმედო ფეხბურთელია, რომელიც ხშირად ლაშქრავს მეტოქის კარს. ალბანეთის „ვლაზნიასთან" ერთადერთი გოლი მან გაიტანა. მაგრამ, ახლა, მთავარია, ბასკებთან მომავალ მატჩში იყოჩაღოს მანაც და გუნდმაც.

იხ. მე-4 გვ.



## ჩვენ ერთი ფესვები გვაქვს – შემოგვითვალეს ბასკებმა და თავიანთ ისტორიულ ძმებთან სპორტული ურთიერთობა მოისურვეს

სპორტი არაერთხელ ქცეულა ქვეყნებსა და ხალხებს შორის ყველაზე დაძაბული ურთიერთობების განეიტრალიზების საწყისად, მაგრამ იშვიათია შემთხვევა, როცა ერთი ხალხი მეორესთან ნათესაურ ფესვებს ეძებს და შემწედ სპორტს მიმართავს. ამის მკაფიო მაგალითია ის, რაც ამ დღეებში გახდა ცნობილი. საქართველოს სამბოს ფედერაციამ ესპანეთიდან, კერძოდ, ბასკეთიდან მიიღო ფაქსი, რომლითაც ჭიდაობის ამ სახეობის მესვეურები იტყობინებიან, რომ ძალიან სურთ ჩამოვიდნენ საქართველოში ისტორიულ ძმებთან ერთობლივი საწვრთნელი ვარჯიშის ჩასატარებლად. მაგრამ მთავარი ეს არ არის, როგორც ჩანს, ეს განზრახვა კატალონიელებს თავიანთი ხალხისთვისაც უცნობებიათ და ქართველებისა და ბასკების შორეული ნათესაობის ჰიპოთეზაც გაუხსენებიათ. ეტყობა ამ ამბავმა დიდი ინტერესი გამოიწვია ბასკებში და იმასაც იტყობინებიან, რომ სამბისტთა გუნდს, რომელიც სულ მალე სავარჯიშოდ ჩამოსვლას გეგმავს თბილისში, გულშემატკივართა ორი ათასკაციანი ამალაც ჩამოჰყვება. ეს უკვე თავსატეხია, თანაც ისეთი, ჯერ რომ არავის სმენია და განუცდია — როდის იყო ამდენი თანამემამულე ისე, უბრალოდ მიჰყვებოდა თავის გუნდს სხვა ქვეყანაში, თანაც, არა თუ შეჯიბრებაზე და, ვთქვათ, ფეხბურთზე, არამედ სამბისტთა გუნდის შეკრებაზე.

მართლაც საოცარი და დამაფიქრებელია. ისე, ნათესავს, თუნდაც იგი შორეული იყოს, ჩვენი ხალხის ტრადიციის გათვალისწინებით, ღირსეული დახვედრა უნდა.

„ლელო" — „ბუმათი"

# კრიმინალი და კრიმინალები ქართულ სპორტში?

## სიმართლის გაგონება არავის უნდა, არადა, გაჯეჯილდა „მანკიერება და დანაშაული"

რაც უფრო აღორძინებისკენ მიდის ქართული სპორტი, რაც უფრო იზრდება მიღწევები ქვეყნის შიგნით თუ საერთაშორისო არენაზე, მით უფრო მკვიდრად იდგამს ფესვებს ჩვენს ყოფაში ისეთი ფინანსური მანკიერებანი, როგორსაც არ იკადრებს არც ერთი თავმომწონე ქვეყანა და არც ერთი სახელმწიფო სტრუქტურა.

განა არ შეიძლებოდა არჩევანის გაკეთება, სულაც, არხეინი ცხოვრება? შეიძლებოდა, ცხადია, ოღონდ, სპორტის განვითარებაზე ქვეყანაში პასუხისმგებელ სახელმწიფო დეპარტამენტს მუშაობის ის სტილი უნდა აერჩია, როცა ზედმეტი ინიციატივისთვის არ დაგსჯიან და არ განგსჯიან, იჯექი შენთვის და ელოდე სფეროს, რომელსაც განაგებ, რუსთაველის თეატრივით, ჯერ საფუძველი როდის შეერყევა, მერე როდის ჩამოიქცევა. მყისიერი არ არის ეს ნგრევა — კაცი განზე გადგომას მოასწრებს, რომ ქვეშ არ მოჰყვეს. დარწმუნებული იყავით, არავინ წამოგაძახებთ, რაც მოხდა შენი ბრალიაო, არავინ შეგაჩვენებთ. ოღონდ, ეგაა, ნგრევის პროცესის დასრულებამდე დროდადრო ხმამაღლა უნდა იყვირო — ვილუპებითო. ეს აუცილებელია. მერე შენც და სხვამაც რომ თქვას — განგაშის ხმა ყურად არ იღესო. აი, რა ეშლებათ და რას არ ითვალისწინებენ ქართული სპორტის მესვეურები. მამა — მარჩენალი სახელმწიფო ხომ თავისი გაჭირვება-უძლურების მომიზეზებით ყოველთვის იმართლებს თავს. ხომ ხედავთ, რამდენი დარგია დღეს დაქცეული, მაგრამ ქვეყანა არ გლოვობს. აფსუს, უცხოეთიდან სპორტული მიღწევების მედლების იმპორტი, რომ შეიძლებოდეს, რას დავახვავებდით, რას ვიამაყებდით, მით უფრო, საბაყოებზე არაფერს ან სულაც მედლის ზონარის ღირებულების რაღაც მეასედ პროცენტს თუ გადავიხდიდით.

გვაპატიოს მკითხველმა ასეთი შესავლით რომ შევაწუხეთ, მაგრამ ასე გაგრძელება ხომ მართლა აღარ შეიძლება, დროა, რეალურად შევხედოთ მოვლენებს და ისე გავაკეთოთ დასკვნები.

რეალობა კი ასეთია: ჩვენს ქვეყანაში სპორტის ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმი არ არსებობს. იმასთან შეფარდებით, რაც საქართველოში ამ სფეროს ესაჭიროება, ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზერული თანხაც კი საფინანსო ორგანოების ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზით დროულად ვერ აღწევს სპორტის დეპარტამენტამდე. გროვდება ვალები, თანაც ისეთი სესხი, რომლის გარანტი სპორტის დეპარტამენტისა და სეოკის ხელმძღვანელები პირადად არიან, რაც თავისთავად უდიდესი რისკია.

ვიდრე კრიმინალზე და კრიმინალებზე შევჩერდებოდეთ, ხმამაღლა უნდა ითქვას, რომ სპორტს საერთოდ, კერძოდ კი, მაღალი შედეგებისთვის ბრძოლას თავისი შეუვალი წესები აქვს — მოსამზადებელი პროცესი აუცილებელი შეკრებებით, სპორტსმენთა შესაძლებლობების მობილიზება და ე.წ. პიკი, უშუალოდ შეჯიბრების დღისა თუ დღეებისათვის. ყველაფერ ამას თანხა ესაჭიროება, ცხადია, კვებისა და მგზავრობის ხარჯების ჩათვლით. ფედერაციამ ერთი წლით ადრე იცის, სად

იხ. მე-2 გვ.

## ხელბურთელებიც ევროტურნირებში ითამაშებენ

5-6 სექტემბრიდან საქართველოს ხელბურთელთა გუნდები ევროპის საკლუბო ტურნირებში ჩაერთვებიან. ჩემპიონთა თასზე „სტუ-შევარდენის" ვაჟთა კოლექტივი იასპარეზებს. პირველად ჩვენები სტუმრად ითამაშებენ ბოსნია-ჰერცოგოვინას ტრავნიკის „ბორაციას" წინააღმდეგ. საპასუხო შეხვედრა ერთი კვირის შემდეგ თბილისში გაიმართება.

თასების თასზე თბილისის „მამულის" ვაჟთა გუნდი მინსკის ასკ-ს შეხვდება. პირველი მატჩი შინ გაიმართება, განმეორებითი — ერთი კვირის შემდეგ ბელარუსში. ბრძოლაში ჩაერთვებიან ქართველი ქალებიც: „მართვე" ჯერ კვიპროსში ითამაშებს იქაურ ჩემპიონთან, მერე კი ერთი კვირის შემდეგ კვიპროსელები ჩვენსას ჩამოვლენ.

# ფოთში ასპარეზობა ცუდადაა დაცდილი... პოლიტიკურად

წყალთხილამურები • საერთაშორისო ტურნირი

**კიდევ ერთხელ გავიხსენოთ: 1991 წლის აგვისტოში, ის იყო ფოთში დამთავრდა წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატი, რომ მოსკოვიდან საგანგაშო ცნობა მოვიდა – მოხდა პუტჩი, რომელმაც საქართველოშიც მთელი რიგი პოლიტიკური კატაკლიზმები გამოიწვია. 1998 წლის ივლისი, ის-ის იყო ფოთში მთავრდებოდა წყალმოთხილამურეთა საერთაშორისო ტურნირი, რომ თბილისიდან მოულოდნელი ცნობა მოვიდა – გადადგა მთავრობა.**

მჩხიბავები ალბათ ამ ორ მოვლენას შორის პარალელის გავლების შემდეგ ადვილად იწინასწარმეტყველებენ, რომ შეჯიბრებაზე, რომელიც წყალსათხილამურო სპორტში როდესმე ფოთში მესამედ ჩატარდება, შეიძლება კიდევ მოხდეს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ამბავი, მით უფრო, თუ მეორე და მესამე ასპარეზობასაც საკრალური რიცხვი „7" (7 წელიწადი) დაგვაშორებს.

მოკლედ, უსენსაციოდ და უკვალოდ არც ამ შინაურ პოლიტიკურ მოვლენას ჩაუვლია — მთავრობის გადადგომის შეტყობინებამ ფოთის მერიაც ააფორიაქა, რომელიც იმპულსურად გადაეცა ტურნირის ორგანიზატორებს და სტუმრებს. ძნელია ახლა ამტკიცო, რომ მთავარ მიზეზად სწორედ ეს იქცა, ფოთის ტურნირში გამარჯვებულებს და პრიზიორებს საპრიზო ფუნდით გათვალისწინებული თანხა რომ კვარცხლბეკზევე არ გადასცეს. არის სხვა ვერსიაც, თითქოს ქალაქის მერს განუცხადებია, ფედერაციამ ტურნირის ჩატარებით ფული იშოვნა და პრიზიორებიც მან გაისტუმროსო. ასეა თუ ისე, ჩვენივე უთავბოლობით, ჯიბრობა-ჯიუტობით თუ ბიუროკრატიზმის წყალობით, დაპირებული თანხა, ვინც ის სპორტულ პაექრობაში მოიპოვა, ვერ მიიღო და ამით უდიდესი ჩრდილი მიადგა ასპარეზობას, ქალაქსაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ქვეყანასაც, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუმკვიდრებია სტაბილური სახელმწიფოს იმიჯი. იქნებ მართალიც იყვნენ ზოგიერთი უცხოური გუნდები, ეჭვს რომ გამოთქვამდნენ ფოთში ტურნირის ნორმალურად ჩატარებასთან დაკავშირებით. ზემოხსენებულ სირცხვილს დაუმატეთ ისიც, რომ გახსნის საზეიმო



ცერემონიალმაც უღიმღამოდ და ნერვულ ატმოსფეროში ჩაიარა, საერთოდ, აირია კულტურული პროგრამა. მიზეზი კი ის გახლავთ, რომ დროულად ვერ მოგვარდა ორგანიზაციული საკითხები, ფორსირებას კი ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებისათვის მზადებაში არ შეეძლო სიკეთე მოეტანა და ვერც მოიტანა. ერთადერთი, ვინც თავიდანვე პირნათლად შეასრულა თავისი ვალდებულება, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი იყო, რო-

იხ. მე-2 გვ.

## ქართული ფეხბურთის ამბები

### რუსეთელ არმიელთა გუნდში ისევ ჩვენი კაცი იქნება

მოსკოვის არმიელთა კლუბის მესვეურებს კარგა ხანია თვალი უჭირავთ ქართველ ფეხბურთელებზე. ჯერ იყოდა, ამ სამიოდე წლის წინათ მოიწადინეს თბილისის დინამოელი გიორგი ნემსაძის გადაბირება. მერე კახი გოგიჩაიშვილსა და ნუგზარ ლობჟანიძეს ეკურკურებოდნენ, საბოლოოდ ეს უკანასკნელი შერჩათ ხელში. პაველ სადირინის გუნდში ლობჟანიძემ მხოლოდ ერთი სეზონი ითამაშა. ახლა კი, მოსკოველებმა ბათუმის „დინამოსა" და საქართველოს ნაკრების მეკარის ნიკა ტოგონიძის გადაყვანა მოიწადინეს და მიაღწიეს კიდეც საწადელს. მართალია, კონტრაქტის პირობები გასაიდუმლოებულია, მაგრამ არაოფიციალური მონაცემებით ნიკა მოსკოვურ კლუბში საუკუნის ბოლომდე დაჰყოფს.

### მარტო ლონდონს უნდა ჰყავდეს „არსენალი"?

ლონდონს თუ ჰყავს „არსენალი", რატომ არ უნდა იყოს ამ სახელწოდების კლუბი თბილისში? დიახ, ამ საფეხბურთო სეზონიდან დედაქალაქის ასკ, რომელიც წელს გადმოვიდა პირველ ჯგუფში, „არსენალის" სახელით ითამაშებს. გუნდის მთავარი მწვრთნელი ოთარ კორღალიძე იმედოვნებს, რომ პირველი ჯგუფის დებიუტანტი თანდათან მოიკრებს ძალას და ანგარიშგასაწევი იქნება არამარტო საქართველოში. მართლაც, იქნებ დადგეს დრო, როცა თბილისისა და ლონდონის „არსენალები" ღირსეულ მეტოქეებად წარსდგებიან ერთმანეთის პირისპირ.

### რა ღირს სტადიონზე სავარძლების დამონტაჟება?

როგორც ცნობილია, იმ საფეხბურთო სტადიონზე, სადაც ევროტურნირების მატჩები უნდა გაიმართოს, აუცილებელია ინდივიდუალური სავარძლების დამონტაჟება ტრიბუნებზე. ისიც ყველამ იცის, რომ საქართველოს სტადიონებზე ამ მხრივ საგანგაშო ვითარებაა და ახლა გაფაციცებით ცდილობენ გადაჭრან ეს პრობლემა. გავრცელდა ხმა, რომ თბილისში, ეროვნულ სტადიონზე, თითო სავარძლის დამონტაჟება 34 ლარი ღირება, ქუთაისში... 7. რატომ და რის გამო ასეთი სხვაობა, ვითომ ხელოვნურად ბერავენ ხარჯთაღრიცხვას და თბილისში იმას ადვილად ახერხებენ, რასაც შაშიაშვილის შიშით ქუთაისში ვერ ბედავენ?

შეიძლება!

# კრიმინალი და კრიმინალები ქართულ სპორტში?

*(პირველი გვერდიდან)*

და როდის ტარდება ესა თუ ის შეჯიბრება, ადგენს ხარჯთაღრიცხვას და წარუდგენს დეპარტამენტს, თავის მხრივ დეპარტამენტი ფინანსთა სამინისტროს და ხაზინას სთხოვს სპორტისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის მიღებას და... აქ იკვრება ჯადოსნური წრე.

მთავარია, დანიშნულ დროს მიიღო თანხა, თორემ, მსოფლიო ან ევროპის ჩემპიონატს შენი გულისთვის არავინ გადადებს. სხვათა შორის, და შედარებისთვის ვიტყვით, რომ სახელმწიფო მეთაურთა და პრეზიდენტთა დათქმულ დროს შეხვედრა შეიძლება გადაიდოს, ასეთი სპორტული შეჯიბრებები კი არასდროს გადაიწევს.

ისე, ჩვენი სპორტის მესვეურები ნამდვილად თავად არიან „დამნაშავენი" იმაში, რომ „ნემსის ყუნწში ძვრებიან" და ვინც მისავლენია, მაინც აგზავნიან შეჯიბრებებზე, ცხადია, ნასესხები ფულით. მათი ბრალია, რომ იქ, ზევითაც, განსაკუთრებით საფინანსო ორგანოებში, დამკვიდრდა აზრი, რომ არაა აუცილებელი გუნდს გამგზავრების წინ მისცენ ფული „ჩამოვლენ და მიიღონ". მერე კი ლოდინი თვეობით გრძელდება. თუ არა ქართული სპორტის მესვეურებს, ვის უნდა „დააბრალო" ის, რომ ბოლო წლებში არც ერთი საერთაშორისო სპორტული ღონისძიება არ ჩაგვიგდია უსახსრობით, სადაც კი მიწვეული ვიყავით. ერთხელაც არ შექმნილა საგანგაშო სიტუაცია არმონაწილეობის გამო. აი, რამ გაათამამა მავანი, რომელიც ცხადია, იმას აღარ კითხულობს, როგორ და საიდან. განა ჩვენი სპორტის მამების ასეთი ქმედება „დანაშაული" არ არის ქართული სპორტის წინაშე?

რაკი კრიმინალს მივადექით, ბარემ ბოლომდე გამოვამზეურთ ძირითადად სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში თავჩენილი „კრიმინალური ფაქტები" და ვინც ნამდვილი დამნაშავეთა ძიებითაა გატაცებული და არა ქართული სპორტის პრობლემების მოგვარებით, საქმე გავუადვილოთ. მაშ ასე, კრიმინალია ის, რომ:

— სპორტის დეპარტამენტს ხაზინა ფულს არ აძლევს და ის მაინც ჯიუტად, ნასესხები ფულით აგზავნის შეჯიბრებებზე სპორტსმენებს;

— რომ მწვრთნელებს და სპორტსმენებს 5-8 თვეა ხელფასი არ მიუღიათ;

— რომ მოსკოვში გამართულ მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებში 17 მედალი მოვიპოვეთ და ჩვენზე მაძლარი ასზე მეტი ქვეყანა უკან ჩამოვიტოვეთ.

— რომ ჩვენი სპორტსმენები შინ დასტატების არანორმალური პირობების მიუხედავად, მასობრივად მაინც არ გარბიან უცხოეთში;

— რომ სპორტის ხელმძღვანელები ხშირად „ავიწროებენ" და აწუხებენ მეგობრებს თუ ცალკეულ ფირმებს სპორტსმენთა დასაფინანსებლად; რომ...

აი, ბოლო მაგალითი: თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ეროვნულ ნაკრებს ბორჯომში დაგეგმილი მსოფლიო ჩემპიონატისწინა მოსამზადებელი შეკრების დღე კარს ისე მოადგა, ფული ჯერ კიდევ არ იყო მიღებული ხაზინიდან. მეორე დილით მიემგზავრებოდა ბორჯომში ნაკრები, ღამით კი სპორტის დეპარტამენტის თანამშრომლები ერთმანეთს და მეგობრებს ტელეფონით დაუკავშირდნენ, რომ დილით, ვის რამდენი ლარი შეეძლო, მიეტანა დეპარტამენტში. ასე გაისტუმრეს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატისათვის მოსამზადებელ შეკრებაზე. გეკითხებით, არის თუ არა ეს კრიმინალი?

დიახ, არის და ეს უკვე მერამდენედ! ამიტომ უსწრაფესი და გადამჭრელი ზომებია მისაღები სპორტის ფუნქციონერთა სითამამისა და ზღვარგადასული პატრიოტიზმის ასალაგმავად. ასე ხომ ქართულ სპორტს კიდევ კარგა ხანს შეიძლება გაუხანგრძლივდეს სიცოცხლე...

მიმომხილველი

# „ლაგუნა-ვერეს პეიზაჟი სპორტული შტრიხებით

თბილისის, და ალბათ, ჩვენი ქვეყნის 120 აუზს შორის ეს ერთადერთი თანამედროვე საწყლოსნო კომპლექსი თვალის ერთი გადავლებით სულაც მსოფლიოში ცნობილი პრესტიჟული კურორტების ანტალიისა და ოქროს ნაპირის პლაჟებს უფრო გაგახსენებთ, რადგან ზაფხულის თაკარა შუადღეს იშვიათად რომ ჩავიდეს ვინმე წყალში. აქ უფრო შეზლონგებში მოკალათებული მანდილოსნები შორიდან უმზერენ აუზში ლაჟვარდოვანი წყლის ლივლივს, უფრო სიგარეტითა და სურნელოვანი ყავით ტკბებიან. სხვათა შორის, შუადღე „ლაგუნა-ვერეზე" ელიტარულ დროდ ითვლება, რადგან თუ დილით 7-9 საათამდე აუზით სარგებლობა 2 ლარი ღირს, ეს დრო გაცილებით მეტი — 3 ლარი უჯდება დამსწრეს. მაგრამ „ლაგუნა-ვერე" კვლავაც ინარჩუნებს სპორტული კომპლექსის ფუნქციებს და შეძლებისდაგვარად, შეღავათებს უწევს მოცურავეებსა და წყალბურთელდებს, აგრეთვე წყალში მხტომელებსა და სინქრონული ცურვის ჯგუფებს. ეს ნათლად გამოჩნდა ამას წინათ აქ ჩატარებულ ქალაქის ღია პირველობაზე ცურვაში, როცა შეჯიბრებას მონატრებულმა სპორტსმენებმა აუზში წყალი „აადუღეს"...

ამ სტარტების შესახებ გვესაუბრება საქართველოს მოცურავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ირინა მანეულინა: „იანვრიდან ველოდებით საქართველოს ჩემპიონატის ჩატარებას, მაგრამ ამაოდ. უსახსრობას იმიზეზებენ. საბედნიეროდ, თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს ხელმძღვანელობამ (ვ. კანკავა, მ. თარხნიშვილი) თავის თავზე აიღო ხარჯები და, უნდა ითქვას, რომ ასეთი თანადგომა მოცურავეებმა ჯეროვნად დააფასეს და გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ ეს იყო ნამდვილი ზეიმი წყალზე, რომელიც მაღალმა შედეგებმაც დაამშვენა. მაგალითად, ჩემმა აღსაზრდელმა ზურაბ ბერიძემ, 50 მეტრი თავისუფალი სტილით 23,5 წამში დაფარა და სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა, 100 მეტრზე კი 51,5 აჩვენა, რაც წამით უკეთესია სპორტის ოსტატობაზე.

აქვე ვიტყვი, ბოლო 15 წელია, ჩვენში 50 მეტრზე აუზში შეჯიბრება არ ჩატარებულა.

— ზურაბი 19 წლისაა. იგი 7 წლიდან ეუფლება ცურვას. ჩვენში, ომიანობის დროს, აუზისა და წყლისათვის არავის ეცალა და მისმა შედეგებმა იკლო. ზურაბი მამამ წაიყვანა ამერიკაში, ყმაწვილი ჩაირიცხა ილინოის უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკის ფაკულტეტზე და, ბუნებრივია, იქ მშვენიერი სავარჯიშო პირობები აქვს. მაგრამ შარშან გლაზგოში ჩაფლავდა ევროპის ჭაბუკთა პირველობაზე, რამაც დიდად იმოქმედა მის თავმოყვარეობაზე და ინტენსიურ ვარჯიშს შეუდგა. ახლა იგი მზადაა სიდნეის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოსაპოვებლად, რომლისთვისაც გაისად იბრძოლებს სტამბულში ევროპის პირველობაზე.

თბილისის ღია პირველობაზე გამოჩნდა აგრეთვე 18 წლის ზურაბ ხომასურიძე, ისიც ჩემი შეგირდია და მან 200 მეტრი თავისუფალი სტილით 1.54,4 წამში დაფარა, რაც წამით ჩამორჩება ოსტატობის ნორმატივს, ბატერფლაით 100 მეტრი კი 58,4 წამში გასცურა. აქ კი წამის რამდენიმე მეათედი დააკლდა ოსტატობას.

ყურადღება მიიქცია გიორგი აბზიანიძის მოსწავლემ რომა გასპაროვმა, რომელმაც 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ოსტატობის კანდიდატის დრო აჩვენა. 15 წლის უჩა სართანიამ შესამჩნევად აიმაღლა შედეგები. საქმე ისაა, რომ იგი აპრილში გამოვიდა სტამბულის ყოველწლიურ მოზარდთა საერთაშორისო ტურნირში და 50, 100 და 200 მეტრებზე თავისუფალი სტილით ცურვაში — IV-V ადგილებზე გავიდა, დღევანდელი შედეგებით კი 50 მ — 26,2, 100 — 58,1, 200 — 2.06,4 იქ ნაღდად პირველობას მოიპოვებდა.

დაბოლოს, 17 წლის ვახტანგ ბერიძეზე — იგი ახლა ბელგიაშია, ქ. ანტვერპენში ევროპის ჭაბუკთა პირველობაზე გამოვა, თბილისის სტარტებზე მან დაგეგმილი შედეგი აჩვენა.

მოცურავეების სახელით მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ ვლადიმერ კანკავასა და ქალბატონ მარინა თარხნიშვილს ასეთი დახმარებისათვის, განსაკუთრებით კი „ლაგუნა-ვერეს" სააქციო საზოგადოების თავმჯდომარეს ბატონ ვლადიმერ გოიაშვილს, რომელიც წარმოუდგენლად კარგ დახმარებას გვიწევს სავარჯიშოდ.

ჩაიწერა
უშანგ ჯიჯინაძემ


## სააქციონერო საზოგადოება სპორტული კომპლექს „ლაგუნა-ვერე"-ს აქციონერთა საყურადღებოდ!

მ/წლის 15 აგვისტოს 10 საათზე ჩატარდება აქციონერთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები.
2. სტრუქტურული ცვლილებების შესახებ.
3. აქციების მფლობელობის საკითხი.
4. სხვადასხვა.

დასწრება სავალდებულოა.

სააქციონერო საზოგადოების დამფუძნებელთა საბჭო




# ფოთში ასპარეზობა ცუდადაა დაცდილი... პოლიტიკურად

*(პირველი გვერდიდან)*

მელმაც 100 ათას ლარამდე გაიღო სკუტერების შეძენა-შემოტანა-განბაჟებისათვის. არ შეიძლება თავდაუზოგავი გარჯა და „თეთრი ღამეები" არ დაუფასდეს ფედერაციის თავმჯდომარეს რომან მელიას, ფირმა „დავითს", რომელსაც დავით გაჩეჩილაძე უდგას სათავეში, სხვა ორგანიზაციებს, განსაკუთრებით, სპონსორებს. მაგრამ, როგორც ჩანს, წავიდა ის დრო, როცა ასეთი ღონისძიებები მთელი ქვეყნის საზრუნავი იყო, ახლა კი ერთეულებმა, ფანატიკოსმა ენთუზიასტებმა უნდა იმტვრიონ თავი პრობლემების მოსაგვარებლად, სხვათა შემწეობა კი, სამწუხაროდ, მეტწილად, დაპირებად რჩება. ასეთია რეალობა, რომელიც ვაითუ ჭკუისსასწავლებლად ექცეთ აქაიქ ჯერ კიდევ შემორჩენილ ენთუზიასტებს.

ერთი სიტყვით, ფოთში გამართული ტურნირის მინორულ სტარტს, ასევე მინორული ფინიში მოჰყვა და მაინც, რჩება იმედი იმისა, რომ ფოთი არ ამოირიცხება იმ სიიდან, სადაც მან ევროპის საუკეთესო წყალმოთხილამურეთა ტურნირებს შორის დაიმკვიდრა ადგილი.

ევროპაში და სხვა კონტინენტებზეც წვრთნა-დაოსტატების საუკეთესო პირობები აქვთ წყალმოთხილამურეებს. ჩვენში ეს პირობები ახლა მხოლოდ სპორტული ბაზით შემოიფარგლება, ახლაო, ვამბობთ იმიტომ, რომ ბოლო წლებში ისიც დანგრეულ-გაჩანაგებული იყო. მაინც ვინ არიან ისინი, ვის იმედად ვართ დღეს, ახლო მომავალში და ვის კვალსაც ახალი თაობები უნდა გაჰყვნენ? პირველ ყოვლისა, ესაა ქართველ სპორტსმენთა ლიდერი გენადი გურალია, რომელიც სპორტული ჟინისა და ერთგულების საუკეთესო მაგალითს იძლევა. ახლა გამოჩნდნენ კახა ქაჯაია, რევაზ ჭიხვარია, ანა ლიფანავა, დავით დოლიძე. მათთვის და სხვებისთვისაც ფოთში გამართული ეს ტურნირი კარგი გაკვეთილი იყო, თუნდაც იმათთვის, ვინც თვალყურს ტრიბუნიდან ადევნებდა სხვათა ასპარეზობას.

— მე რუსთავიდან ვარ, რამდენიმე თვეა ფოთში ვიმაღლებ ოსტატობას, საერთოდ კი, ვარჯიში შარშან განვაახლე — თქვა დათო დოლიძემ, რომელიც ტრამპლინიდან ხტომებში ასპარეზობდა. ამ ბიჭმა 7 წლისამ დაიწყო ვარჯიში 10 წლის წინათ რუსთავში, მწვრთნელ ზაურ ლაგაზიძესთან, მაგრამ მერე ქვეყანა აირია და ჯგუფი დაიშალა. ახლა ისევ განახლდა მუშაობა. ფოთის შემდეგ რუსთავში სპორტის ამ სახეობის განვითარების ყველაზე კარგი პერსპექტივაა თუ... ხელშეწყობა იქნება.

### კვარცხლბეკი:

***ფიგურები. ქალები:*** 1. მარინა ბასინსკაია, 2. ოლგა პავლოვა (ორივე — ბელარუსი), 3. ოლგა კაშიცინა (რუსეთი); ***ვაჟები:*** 1. ჯეისონ სილსი (ინგლისი), 2. ანდრეი ალენტიევი (რუსეთი), 3. დიმიტრი რიკლინი (ბელარუსი).

***სლალომი. ქალები:*** 1. სესილ ლინდბერგი (შვედეთი), 2. პავლოვა, 3. ვიტე ლიბეში (გერმანია); ***ვაჟები:*** 1. მეთიუ საუთჰემი (ინგლისი), 2. ფრენც ობერლეიტნერი (ავსტრია) და კარი იესკელაინენი (ფინეთი), 3. ოლეგ ოკრუგინი (უკრაინა).

***ტრამპლინი. ქალები:*** 1. პავლოვა, 2. ირინა ტაურეცი (ბელარუსი), 3. კაშიცინა; ***ვაჟები:*** 1. სილსი, 2. გენადი გურალია, 3. ობერლეიტნერი.

***სამჭიდი. ქალები:*** 1. პავლოვა, 2. ტაურეცი, 3. კაშიცინა; ***ვაჟები:*** 1. სილსი, 2. გურალია, 3. ობერლეიტნერი.

# ის, რაც შთაგონებით იქმნება

**პროფესია და ჰობი**



სპორტსმენთა და სპორტში მომუშავე ადამიანთა შორის ბევრს გააჩნია თავისი გატაცება, რომელსაც ისინი მთელ თავისუფალ დროს უთმობენ. თბილისის მერის სპორტის სამმართველოს უფროსის მოადგილეს მარინე თარხნიშვილს თურმე არაერთხელ დასთენებია თავზე ქარგვით გატაცებულს.

— ბავშვობაში ჩემთვის ვხატავდი, მერე დედის და დეიდისაგან ქსოვა ვისწავლე და აი, 5 წლის წინათ, უეცრად აღმეძრა ქარგვის სურვილი, მას შემდეგ, რაც ერთ ოჯახში მაცხოვრის შთამბეჭდავი სურათი ვნახე. პირველად სწორედ მაცხოვრის ხატი მოვქარგე — ამბობს ქალბატონი მარინე.

მეტწილად მაინც რელიგიურ თემაზე მუშაობს, რისთისაც თავისი მოძღვრისაგან ღვთისმშობლის ეკლესიაში მამა ვახტანგისგან მიუღია კურთხევა. წმინდა ნინოს ეკლესიაში კი მამა თეიმურაზისთვის ჩაუბარებია შეწირული ნამუშევარი.



მუშაობს სხვა თემაზეც, მაგრამ იშვიათად, რაღაც ძალიან უნდა მოეწონოს, აზრობრივად ღრმად ჩაწვდეს, რომ მის გამოქარგვას მოჰკიდოს ხელი. ფერების შეხამებასაც თავად ახდენს შინაგანი კარნახით, მეტწილად დინამიურ სიუჟეტებს ირჩევს.

აპირებს თუ არა გამოფენის მოწყობას?

ჯერ არა, მაგრამ, როგორც თავად ამბობს თუ ღვთის ნება იქნება, როდესმე აუცილებლად გააცნობს თავის ნამუშევრებს ფართო საზოგადოებრიობას.

ირინე სიდამონიძე

სურათებზე: მარინე თარხნიშვილის ორი ნამუშევრის ფოტო-რეპროდუქცია



## ბესიკ კაკალაძე
### ჭადრაკი

**დებიუტანტი**

დაიბადა 1989 წელს ქობულეთში
ქობულეთის №7 საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლეა
ჭადრაკში მეცადინეობა დაიწყო 1995 წელს გენადი ზეინალოვთან, ამჟამად ავარჯიშებს ამირან ბერძენიშვილი
ნანა იოსელიანისა და ზურაბ აზმაიფარაშვილის ბავშვთა და მოზარდთა საჭადრაკო სკოლის აღსაზრდელია
1997 წელს 10 წლამდე ჭაბუკებში აჭარის პირველობაში დაიკავა II ადგილი; საჭადრაკო ფესტივალებში: „ქობულეთი-98" – II, „საქართველო-98" – II, „ივერია-98" – II ადგილები, ქობულეთის საერთაშორისო ტურნირში თანატოლებში მესამე იყო.

## ფიფას პრეზიდენტები

**რუბრიკა ფიფას პირველი პრეზიდენტით რობერტ გუერენით დავიწყეთ, მაგრამ შემდეგ ქრონოლოგიას ვუღალატეთ და მეშვიდე პრეზიდენტი ჟოაო აველანჟი წარმოგიდგინეთ. თანმიმდევრობას ახლაც დავარღვევთ და იმ კაცს გაგახსენებთ, რომელმაც „ოქროს ნიკე", მსოფლიოს თასი შექმნა...**



# ჯიუტი და შეუპოვარი პიონერი



ისევე როგორც, სხვა დიდი რანგის ტურნირები, ფიფას მსოფლიო თასი (FIFA world Cup) ანუ მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში მომენტალურად არ დაფუძნებულა. ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი გახლდათ, რომელსაც, როგორც იქნა, თავი მოაბა საფრანგეთის აღმოსავლეთით მდებარე პროვინცია ტიული-ლე ლავანკურში 1873 წლის 14 ოქტომბერს დაბადებულმა ჟიულ რიმემ.

მამამისი ხილ-ბოსტნეულის მაღაზიის ნოქარი გახლდათ და მისი შემწეობით ჟიულ რიმე ზედმიწევნით მკაცრად იზრდებოდა. პროვინციაში სწავლის დროს ყმაწვილმა სტიპენდია დაიმსახურა, რათა პარიზში გაეგრძელებინა სწავლა და ვექილის დიპლომი აეღო. განათლების მიღების შემდეგ რიმე ჯერ დედაქალაქის გარეუბნებში მუშაობდა, მერე უკვე პარიზის ცენტრში – ის მონაწილეობდა სხვადასხვა საკამათო გარიგებების განხილვაში, მოკლედ, წმინდა იურიდიულ საქმიანობას ეწეოდა. განტვირთვას კი სპორტში ჰპოვებდა, თუმცა აქტიურ სპორტს არასდროს მისდევდა, არ ოცნებობდა სპორტსმენობაზე, სამაგიეროდ, ძალიან დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა თუ ვინმე სპორტსმენს რაიმეთი ხელს გაუმართავდა, მას სურდა სხვებისთვის, რომლებსაც კარგი ფიზიკური მონაცემები გააჩნდათ, სათანადო პირობები შეექმნა. 1897 წლის მარტში 24 წლის ჟიულ რიმემ მეგობრების დახმარებით დააფუძნა კლუბი „წითელი ვარსკვლავი", ეს ჟიულ რიმეს პირველი გამოცდა გახლდათ, როგორც საფეხბურთო ორგანიზაციის ხელმძღვანელისა და მაღალი რანგის ტურნირის პიონერისა. ამ კლუბის პოპულარობამ ჟიულ რიმეს მხნეობა შესძინა და სამომავლოდ უფრო დიდი საქმეებისათვის განაწყო. სხვათა შორის, კლუბი „წითელი ვარსკვლავი" დღესაც არსებობს. როცა, 1904 წლის 21 მაისს პარიზში ფიფა შეიქმნა, ეს არცთუ ისე გახმაურებული მოვლენა ჟიულ რიმეს, რა თქმა უნდა, არ გამოჰპარვია. ის მაშინ ფიფას მოხელე არ ყოფილა, მაგრამ იმ დღიდან სერიოზულად მოჰკიდა ხელი პარიზში ფეხბურთისა და ფიფას პროპაგანდა-პოპულარიზაციას. რამდენიმე წელიწადში კი სწორედ ჟიულ რიმეს დიდი მეცადინეობით შეიქმნა საფეხბურთო ასოციაციის ლიგა, საფრანგეთის პირველი ეროვნული ლიგა, რომელსაც მისივე პირველი პრეზიდენტის სახელი დაერქვა, რადგან მისი შექმნა სწორედ ჟიულ რიმეს საკუთარი პროექტი იყო. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ გასაკვირი არ ყოფილა, რომ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის შექმნის ხელმძღვანელიც რიმე გახლდათ (1919 წელი). ამ ორგანიზაციის პრეზიდენტად კი 1919 წლის 7 აპრილს აირჩიეს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პირველი მსოფლიო ომის პერიოდშიც (1914-1918) ჟიულ რიმე ყველანაირად ცდილობდა ფეხბურთი არ ჩამკვდარიყო საფრანგეთში. ომის დამთავრების შემდეგ რიმე მყისვე გამოეხმაურა იმ დისკუსიას, რომელიც ფიფაში მიმდინარეობდა საერთაშორისო ტურნირის მოწყობისათვის და რიმეს ოცნებებიც საფრანგეთს გასცდა, გლობალურ მასშტაბებში გადაინაცვლა... თავისი იდეა პირველად ანტვერპენში, 1920 წლის ოლიმპიურ თამაშებზე გაამხილა, როცა ის ფიფას დროებითი ხელმძღვანელი იყო, ხოლო 1921 წლის 1 მარტს ფიფას პრეზიდენტად დაამტკიცეს დანიელ ბარლეი ვულფოლის მაგიერ. ჟიულ რიმეს ზედმიწევნით ეხერხებოდა დაერწმუნებინა სხვები თავის სიმართლეში, თუმცა, ამჯერად, ამისთვის, უჩვეულოდ დიდი გარჯა დასჭირდა და 1926 წელს ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების შესაძლებლობები უნდა შეესწავლა. ამ პროექტის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლება გახლდათ უთანხმოება ფიფასა და სოკ-ს შორის, რომელიც ოლიმპიურ საფეხბურთო ტურნირს ატარებდა. ფიფა და რიმე კატეგორიულად აცხადებდნენ, რომ ისინი იყვნენ საკმაოდ კომპეტენტურები და პასუხისმგებლობასაც არ გაურბოდნენ, რათა საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატი ჩაეტარებინათ.

ფიფას კონგრესზე ამსტერდამში (1928 წ.) ხმათა უმრავლესობით 25/5 (დანია, შვედეთი, ნორვეგია, ფინეთი და ესტონეთი წინაალმდეგნი იყვნენ), გადაწყდა, რომ მსოფლიო თასის გათამაშება ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ მოეწყობოდა. მომდევნო კონგრესზე ბარსელონაში (1929) კი პირველი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა და ტურნირის ჩატარების თარიღი გამოვლინდა. ურუგვაის უპირატესობა იტალიასთან, ჰოლანდიასთან, ესპანეთთან და შვედეთთან კონკურენციის შედეგად მიენიჭა. რა თქმა უნდა, მხედველობაში იქნა მიღებული ის ფაქტი, რომ ურუგვაის საფეხბურთო გუნდი 1922 და 1928 წლების ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული იყო. აგრეთვე ურუგვაელები პირობას იძლეოდნენ, რომ პირველი მსოფლიო ჩემპიონატისათვის ახალ სტადიონს ააგებდნენ, თანაც 1930 წელს ქვეყნის კონსტიტუციას საუკუნე უსრულდებოდა. მაგრამ მიუხედავად ამ ყველაფრისა, გადამწყვეტი ფაქტორი სულ სხვა აღმოჩნდა – ურუგვაელები ტურნირის მონაწილე გუნდებს მგზავრობისა და ბინის ხარჯების ანაზღაურებას სთავაზობდნენ. ხოლო თითოეულ ფეხბურთელს, მწვრთნელს თუ ჩემპიონატის მონაწილე სხვა რომელიმე პერსონას 75 დოლარს, აგრეთვე ყოველდღიურ 50 ცენტს ჯიბის ფულად.

მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების პროექტის განხორციელება დიდი დარტყმა იყო ბრიტანული ფედერაციებისათვის, რომლებიც სკეპტიკურად უყურებდნენ რიმესა და მისი თანამოაზრეების იდეებს; რატომღაც მოითხოვდნენ მკაცრად გამიჯნულიყო ერთმანეთისაგან პროფესიული და სამოყვარულო ფეხბურთი; უფრო სოკ-ის მხარეს იხრებოდნენ. ჟიულ რიმე კი ყველანაირად ცდილობდა და უნდოდა, რომ მსოფლიო თასი ყოფილიყო გლობალური და ღია ყველასათვის, მათ შორის პროფესიონალებისთვისაც. ბრიტანელთა პოზიციები საკმაოდ ძლიერი გახლდათ და მათ გარდა, მთელმა რიგმა ევროპულმა გუნდებმა უარი განაცხადეს ურუგვაიში წასვლაზე. მიზეზი საერთო ევროპული ეკონომიკური კრიზისი იყო და აგრეთვე ხანგრძლივი გადამღლელი მოგზაურობა ურუგვაიმდე. ჟიულ რიმე კი ვერც ამან გატეხა – ლამის მთელ ევროპაში იმოგზაურა, რათა დაეყოლიებინა ეროვნული ასოციაციები ურუგვაიში წასვლაზე. რიმეს თვით საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციასთან მოუხდა მთელი თავისი ძალისხმევისა და უნარის გამოყენება მონტევიდეოში ეროვნული გუნდის გამგზავრების თანხმობისთვის. საბოლოოდ სამხრეთ ამერიკას ოთხი ევროპული გუნდი გაემგზავრა. ჟიულ რიმე, საფრანგეთის დელეგაცია, ბელგიისა და რუმინეთის გუნდები გენუიდან გაემგზავრნენ ლაინერ Conte Verbe-თი (რიმეს თავისი ქალიშვილიც ახლდა). ამ ლაინერზე აგრეთვე იმყოფებოდა ფრანგი სკულპტორის აბელ ლეფლერის (Albel Lafleur) მიერ დამზადებული თასი, რომელიც ჩემპიონატის გამარჯვებული გუნდისთვის იყო განკუთვნილი. „ამ ტროფეის ოქრო არის სიმბოლო მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატისა, რომელიც სამყაროს ყველაზე დიდი სპორტული მოვლენა გახდება" – წერდა დღიურში სკულპტორი. მონტევიდეოში ჩასვლისას ჟიულ რიმე აღტაცებული იყო იმით, რომ მას ქვეყნის პრეზიდენტის მიწვევა გადასცეს პირადი შეხვედრისთვის. ფიფას პრეზიდენტი კიდევ იმან გააკვირვა, რომ ურუგვაელები უზომოდ დიდი ენთუზიაზმით ეკიდებოდნენ საქმეს და ტურნირის ორგანიზაციას დეტალურად მიჰყვებოდნენ. ყველაზე დაუვიწყარი კი ფ.ჟიულ რიმესთვის, თასის გადაცემა იყო გამარჯვებული გუნდის კაპიტნისთვის ნასიზისთვის (ურუგვაელებმა გადამწყვეტ მატჩში არგენტინელებს სძლიეს 4-2). როგორც შემდეგ იგონებდა რიმე, ეს იყო იშვიათი განცდა მოზღვავებული ვნებათაღელვისა, თავისუფლების თავისებური შეგრძნებისა...

ყველაფერმა ამან კი ევროპაში ერთობ მინორულად გაიჟღერა. ევროპის წამყვანმა გაზეთებმა ერთი-ორი ბწკარი თუ დაუთმეს პირველ მსოფლიო ჩემპიონატს. თვით ფიფას საინფორმაციო ბიულეტენიც მწირ ინფორმაციას დასჯერდა, მაგრამ ჟიულ რიმე მაინც გამარჯვებულად გრძნობდა თავს... თუმცა კვლავ ბრძოლებში იყო. იგი ძალიან დიდი ზეწოლის ქვეშ მოექცა სამხრეთ ამერიკის წარმომადგენლებისგან, როცა გადაწყდა, რომ 1934 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ევროპაში (იტალია) ჩატარდებოდა – ურუგვაიში პირველი ჩემპიონატის გამართვას ევროპელები ხომ ძალიან ცივად შეხვდნენ. ჟიულ რიმე იძულებული იყო ოთხი წლის შემდეგაც იგივე გადაეტანა, რადგან სხვა გამოსავალი არ არსებობდა – ევროპა მეორე მსოფლიო ომის დაწყებას ელოდა. შეიქმნა რეალური საფრთხე იმისა, რომ სამხრეთამერიკელები საერთოდ უარს იტყოდნენ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაზე და ჟიულ რიმეს მთელი თავისი დიპლომატიური უნარის გამოყენება მოუხდა სამხრეთამერიკელების შემორიგებისთვის. ის 1939 წელს ეწვია სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს, რათა ბზარი ორ კონტინენტს შორის გაემთელებინა, ფიფასთვის ერთიანი და ჯანმრთელი სხეული შეენარჩუნებინა...

ომის შემდეგ ფიფას მორიგი კონგრესი 1946 წელს გაიმართა ლუქსემბურგში და გადაწყდა, რომ 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატს ბრაზილია უმასპინძლებდა. ეს, რა თქმა უნდა, ბრძნული გადაწყვეტილება იყო – რიმემ სამხრეთამერიკელების გულიც მოიგო და თან ომგადატანილ ევროპას შესაძლო რეციდივული სიმპტომებიც აარიდა. ლუქსემბურგის იმ კონგრესზე ისიც გადაწყდა, რომ 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ნეიტრალურ შვეიცარიაში გაიმართებოდა. მოკლედ, რიმემ ყველაფერი გააკეთა მშვიდობისთვის და ფეხბურთის გადარჩენისთვის. ლუქსემბურგში ჩატარებული კონგრესი კიდევ ერთით იყო მნიშვნელოვანი – აბელ ლეფლერის ნახელავს ჟიულ რიმეს სახელი დაერქვა...

ჟიულ რიმეს 33 წლიდან ფიფას პრეზიდენტობას წერტილი ბერნის 1954 წლის კონგრესზე დაესვა. 81 წლის რიმემ ესტაფეტა მის მარჯვენა ხელს ბელგიელ უილიამს სეელდრეიერს გადასცა. ჟიულ რიმეს ნობელის მშვიდობის პრემიის ნომინანტად წამოყენებას უპირებდნენ, მაგრამ მოხუცი ჟიული ერთობ გაჯიუტდა და უარი განაცხადა... არადა, როცა რიმე ფიფას პრეზიდენტი გახდა, ეს ორგანიზაცია მხოლოდ 20 წევრი-ქვეყნისგან შედგებოდა, ხოლო 1954 წლისთვის ფიფაში 85 ქვეყანა იყო გაერთიანებული. ჟიულ რიმე მხოლოდ იმას დასჯერდა, რომ ფიფას პირველი საპატიო პრეზიდენტი გახდა გადადგომისთანავე. ასე თუ ისე, ამ კაცს ფეხბურთის ყველაზე კრიტიკულ დროს მოუწია ფიფას პრეზიდენტობა და რომ არა მისი დიპლომატიური გამჭრიახობა, შორსმჭვრეტელობა და შეუპოვრობა თანამედროვე ფეხბურთი ალბათ განვითარების სულ სხვა სტადიაზე იქნებოდა.

**FIFA MFGFZINE-დან**
**თარგმნა**
**დათო თავართქილაძემ**

# ზურაბ სარსანიას მკვლელი დაპატიმრებულია



საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ცნობა იმის შესახებ, რომ ზურაბ სარსანიას მკვლელი კახა ჩიქვინიძე ინტერპოლმა საბერძნეთში დააკავა, საქართველოს კრივის ფედერაციაში გადავამოწმეთ.

– დიახ, ყველაფერი სწორია, ჩიქვინიძე, რომელსაც ბრალად ედება თანაგუნდელ სარსანიას მკვლელობა, ოთხი წლის მიმალვის შემდეგ ნამდვილად დაკავებულია, მაგრამ ჯერ საქართველოში არ უნდა იყოს გადმოყვანილი – უთხრა „ლელოს" კორესპონდენტს ფედერაციის გენერალურმა მდივანმა თემურ კოტრიკაძემ.

*სურათზე: ახლო წარსულში საქართველოს რჩეულ მოკრივეთა გუნდი. მარცხნიდან: პაატა გვასალია, გიორგი კანდელაკი, ზურაბ სარსანია და კობა გოგოლაძე (ფოტო „ლელოს" არქივიდან).*

# კეთილი ნების თამაშებზე

საზაფხულო ოლიმპიადებს შუა, ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, ტრადიციულად **კეთილი ნების თამაშები** ტარდება.

წელს ამ შეჯიბრებაში სპორტის ახალი სახეობის ქალთა ფეხბურთის დებიუტი შედგა. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემპიონი მასპინძელი, აშშ-ს გუნდი გახდა. ამერიკელებმა ფინალში 12 ათასი მაყურებლის წინაშე ჩინელები დაამარცხეს 2-0. ორივე გოლის ავტორია მია ჰემი, რომელმაც სულ ამ თამაშებში 7-ჯერ აიღო მეტოქე გუნდების კარი.



*აშშ ქალთა ნაკრების ფეხბურთელები – თამაშების ჩემპიონები. მარცხნიდან: მია ჰამი, კარინ გაბარა და კრისტინ ლილი.*

სხვა სახეობები: *პლაჟის ფრენბურთი. ფინალი. ვაჟები:* პარა სოუზა და გილერმე მარკეში (ბრაზილია) — კერკ კირალი და ადამ ჯონსონი (აშშ) 12:11. *III ადგილისათვის.* ესტებან მარტინესი და მარტინ კონდე (არგენტინა) — ჯო პროსერი და ლი ზანერი (ავსტრალია) 12:11, 12:9. *წყალში ხტომა. 10-მეტრიანი კოშკი. ვაჟები:* 1. დმიტრი საუტინი (რუსეთი) 665,49; 2. ტიან ლანგი 623,01; 3. სუნ შუვეი (ორივე — ჩინეთი) 598,80, ქალები: 1. ლორა უილკინსონი (აშშ) 504,212; 2. საი იუანი 501, 583; 3. სანგ ხუე (ორივე — ჩინეთი) 484,575.

## ჩემპიონთა ლიგა

## 1998/99 წლების ევროპის საკლუბო ტურნირები ფეხბურთში

## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩები

## უეფას თასი

### ვლაზნია (ალბანეთი) — დინამო (თბ.. საქართველო) 3–1

*ვლაზნია:* გრიმა, ზმიანი, ნოგა, შკაბარი (ჯაჯჯა,52), პრენჩი, კაჩაი, ჰიზა, კუნგუ, ლიჩი (ბიზი, 62), სინანი, მილოტი.
*დინამო:* სოლოლაშვილი, დიდავა, ცქიტიშვილი, სახვაძე, ჭელაძე, გუჩუა, კვარაცხელია (ქემოკლიძე, 83), კობიაშვილი, ალექსიძე, მუჯირი (ლ. მელქაძე, 75), ხომერიკი (აშვეთია, 70).
*გოლები:* 1-0 კუნგუ (12), 2-0 მილოტი (86), 2-1 აშვეთია (89), 3-1 ნოგა (90, პენ.).
*გააფრთხილეს:* კობიაშვილი, გუჩუა, ბიზი, ალექსიძე.
*გააძევეს:* კობიაშვილი (40).
*მსაჯი:* ა. მიკალევი (მალტა).
*პირველი მატჩი:* 3-0 „დინამოს" სასარგებლოდ.

ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება — „დინამო" გათამაშების შემდეგ ეტაპზე გავიდა და ეს არის მთავარი. მართალია, განმეორებით მატჩში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონმა მარცხი იწვნია, ვფიქრობთ, ტირანაში მიღებული გამოცდილება ახალგაზრდა დინამოელებს გამოადგებათ. დარწმუნდებიან, რომ ფეხბურთში ნებისმიერი მეტოქის წინააღმდეგ ძალების მთელი მობილიზებაა საჭირო. საქმეში ხანდახან თავისი არაობიექტური მოქმედებით შეიძლება მსაჯიც ჩაერიოს, ექსტრემალური კლიმატური პირობებიც — ყველაფერი ამისათვის მზად უნდა იყო.

ამ მატჩში ახალგაზრდა დინამოელებმა მასპინძლებს ტოლი არაფერში დაუდეს, სახიფათო მომენტების შექმნაში მათ სჯობნიდნენ კიდეც, მაგრამ ამაოდ — კობიაშვილმა, ხომერიკმა, მუჯირმა, აშვეთიამ კარის ალების რეალური შანსები გაუშვეს ხელიდან. ამ მხრივ უფრო იღბლიანები ალბანელები გამოდგნენ. მატჩის შემდეგ „ვლაზნიას" მთავარმა მწვრთნელმა ჰუსენ ღედიამ თქვა: „ქართველები კარგი ფეხბურთელები არიან, მაგრამ დღეს მათ ფატალურად არ უმართლებდათ. ჩვენ კი მაქსიმუმი გავაკეთეთ, მსაჯობით კმაყოფილი ვარ."

მურთაზ ხურცილავა კი, ალბანელი კოლეგისაგან განსხვავებით, არაობიექტური მსაჯობით განცვიფრებული იყო: „რას გვერჩოდა მალტელი მიკალევი, ვერ გავიგე. კობიაშვილი რატომ გააგდო ან პენალტი რატომ დანიშნა, ვერაფრით ამიხსნია. ასეთმა არაობიექტურობამ თბილისელ მოთამაშეებზე ძალიან იმოქმედა, ისინი დაიბნენ და შეცდომებს უშვებდნენ."

როგორც ვთქვით, მთავარია შემდეგ ეტაპზე გავიდეთ და ახლა გაცილებით ძლიერ მეტოქესთან ჭიდილისათვის უნდა ვემზადოთ — ესპანეთის პირველობის პრიზიორი ალბანეთის დარი გუნდი რომ არ იქნება, ეს ყველასათვის ნათელია.

ალბათ, შემადგენლობის გაძლიერებაზეც უნდა ვიფიქროთ. როგორც შევიტყვეთ, „დინამოში" დაბრუნდა ნახევარმცველი გიორგი კიკნაძე, გამორიცხული არაა, რომ ევროტურნირში გუნდს დაეხმარონ გოჩა ჯამარაული, დავით ჭიჭველიშვილი, დავით ჩალაძე. ეს ცვლილებები ჩვენი ჩემპიონისთვის მისწრება იქნება, ვინაიდან ტირანაში გაძევებული კობიაშვილი როგორც მინიმუმ ერთ მატჩს გამოტოვებს.

### სხვა მატჩები:

სენტ პატრიკი (ირლანდია) — ***სელტიკი (შოტლანდია)*** 0-2 (0-0)
0-1 ბრატბაკი (12), 0-2 ლარსონი (71)
ვესტმანაეიარი (ისლანდია) — ***ობილიჩი (იუგოსლავია)*** 1-2 (0-2)
1-0 ჰაფლიდასონი (26), 1-1 ვასილიევიჩი (60), 1-2 გროზდიჩი (89)
ერევანი (სომხეთი) — ***ჰიკი (ფინეთი)*** 0-3 (0-2).
0-1 ლეკოსუო (1), 0-2 იავაია (28), 0-3 ლეკოსუო (79 პ)
ჰალმშტადი (შვედეთი) — ***ლიტექსი (ბულგარეთი)*** 2-1 (0-2)
1-0 საკირი (38), 2-0 არვიდსონი (42), იოროლკოვი (76)
ფლორა (ესტონეთი) — ***სტიაუა (ბუქარესტი, რუმინეთი)*** 3-1 (1-4)
1-0 სმირნოვი (42), 2-0 ზელინსკი (46), 2-1 დანჩულესკუ (72), 3-1 ოპერი (81).
ქიაფაზი (აზერბაიჯანი) — ***ლკს (ლოძი, პოლონეთი)*** 1-3 (1-4)
0-1, 0-2 იაკი (45, 49), 1-2 სმირნოვი (53), 1-3 ნიესგუცკი (81).
***მარიბორი (სლოვენია)*** — კარედა (ლიტვა) 1-0 (3-0)
1-0 ბალაიიჩი (78).
ვლაზნია (შკოდერი, ალბანეთი) — ***დინამო (თბილისი, საქართველო)*** 3-1 (0-3)
1-0 კუნგუ (12), 2-0 მილოტი (87), 2-1 აშვეთია (89), 3-1 ნოგა (90, პ)
***ანორთოსისი (კვიპროსი)*** — ლა ვალეტა (მალტა) 6-0 (2-0)
1-0 ჩივიჩი (16), 2-0 ხარალამბუსი (18), 3-0 ანდრეუ (45 პ), 4-0 სოტირიუ (51), 5-0 ოკასი (71), 6-0 სოტირიუ (90)
***უიპეშტი (უნგრეთი)*** — ზიმბრუ (მოლდოვა) 3-1 (0-1)
1-0 ნირიუტა (17), 1-1 კულიკი (28), 2-1, 3-1 კოვაჩი (73, 90)
ჟენესი (ლუქსემბურგი) — ***გრასჰოპერსი (შვეიცარია)*** 0-2 (0-6)
0-1 ესპოზიტო (34), 0-2 თურქილმაზი (43)
ბარი თაუნი (უელსი) — ***დინამო (უკრაინა)*** 1-2 (0-8)
0-1 მიხაილენკო (11), 1-1 ვილიამსი (30), 1-2 ვენგლინსკი (50)
***ბრიუგე (ბელგია)*** — სილექსი (მაკედონია) 2-1 (0-0)
1-0 ვერმანტი (14), 2-0 კლასენსი (30), 2-1 ბოზინოვი (76)
***კოშიცე (სლოვაკეთი)*** — კლიფტონვილი (ჩრდ. ირლანდია) 8-0 (5-1)
1-0 კოზაკი (4), 2-0 იანოჩკო (14), 3-0 ნემეცი (32), 4-0 იანოჩკო (54), 5-0 პროჰაზკა (58), 6-0 რუსლანი (67), 7-0 პროჰაზკა (72), 8-0 კოზლეი (86).
დინამო (ბელარუსი) — ***სკონტო (ლატვია)*** 1-2 (0-0)
1-0 ოსიპოვიჩი (26), 1-1 ასტაფიევი (45), 1-2 ნოვიკოვი (72)
ტორსჰაგენი (ფარერები) — ***ბეითარი (ისრაელი)*** 0-1 (1-4)
0-1 ჰამარი (68).

*უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებით მატჩში ფოთის „კოლხეთი-1913" ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" წინააღმდეგ რომ განწირული იყო, ეს ყველასათვის ნათელია. და მაინც, ვიმედოვნებდით, რომ 0-4 წაგების შემდეგ კოლხები ბელგრადში უფრო თავმოყვარე გუნდად წარსდგებოდნენ იქაური მაყურებლის წინაშე. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, კვლავ კატასტროფული ანგარიშით დამარცხდნენ 0-7. საბოლოოდ ორივე მატჩის ჯამში საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი იუგოსლავიის გუნდთან 0-11 (!) განადგურდა. როგორც იტყვიან ხოლმე, კომენტარი ზედმეტია.*

### სხვა მატჩები:

***ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)*** — კოლხეთი-1913 (საქართველო) 7-0 (4-0)
1-0 პანტელიჩი (28), 2-0, 3-0 ოგნიენოვიჩი (45 პ. 47), 4-0 გოიკოვიჩი (54), 5-0, 6-0, 7-0 მიჩიჩი (57, 69, 90)
დინამო (ბაქო, აზერბაიჯანი) — ***არჯეში (რუმინეთი)*** 0-2 (1-5)
0-1 მუტიუ (51), 0-2 იელავიენუ (90)
***ცსკა (სოფია, ბულგარეთი)*** — ბელშინა (ბელარუსი) 3-1 (0-0)
1-0 პეტროვი (5), 2-0 ნაიდენოვი (37), 2-1 ბალაშოვი (50), 3-1 სტანჩევი (90).
ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) — ***ომონია (კვიპროსი)*** 5-3 (1-5)
0-1 მარანტოსი (2), 0-2 კიტანოვი (14), 1-2 ფინი (19), 1-3 იოაკიმი (22), 2-3 გორმანი (34), 3-3 მაკდონალდი (44), 4-3 გორმანი (48), 5-3 ფერგიუსონი (72).
ტირანა (ალბანეთი) — ***ინტერი (სლოვაკეთი)*** 0-2 (0-2)
0-1 ბოლონიჩი (55), 0-2 მიკლოში (82)
***პოლონია (პოლონეთი)*** — სადამი (ესტონეთი) 3-1 (2-0)
0-1 კრილოვი (3), 1-1 მოსკალი (8), 2-1 ვეძინსკი (16), 3-1 ბაკი (21)
***ჰაასა (ფინეთი)*** — ჰაფნარი (ფარერები) 4-0 (0-2)
1-0, 2-0 სუსტუ (3, 17), 3-0 ტარკიო (72), 4-0 ნიგარდი (90)
***კილმარნოკი (შოტლანდია)*** — ჟელეზნიჩარი (ბოსნია) 1-0 (1-1)
1-0 მაჰუდი (31).
დაუგავა (ლატვია) — ***მურა (სლოვენია)*** 1-2 (1-6)
0-1 ვოგრინჩიჩი (59), 0-2 რისტიჩი (66), 1-2 შარანდო (69)
***ჟალგირისი (ლიტვა)*** — აკრანესი (ისლანდია) 1-0 (2-3) 1-0 სტეშკო (1).
ფინპა (ფინეთი) — ***ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი)*** 1-3 (1-3)
0-1, 0-2 ტიკვა (5, 18), 0-3 ტობი (74), 1-3 გეაგეა (88)
*მალმიო (შვედეთი)* — შირაქი (სომხეთი) 5-0 (0-2)
1-0 ტილანდერი (9), 2-0, 3-0 კინდვალი (33, 45), 4-0 გუდმუნდსონი (68), 5-0 კინდვალი (77).
***რეინჯერსი (შოტლანდია)*** — შელბურნი (ირლანდია) 2-0 (5-3)
1-0, 2-0 იოჰანსონი (4, 89).
სლოგა იუგომაგნატი (მაკედონია) — ***ოცელული (რუმინეთი)*** 1-1 (0-3)
1-0 სტანკოვსკი (41), 1-1 მიხალაჩი (58)
***ანდერლეხტი (ბელგია)*** — ტილიგული (მოლდოვა) 5-0 (1-0)
1-0 სტოიჩა (31), 2-0 დე ბოეკი (42), 3-0 დიდენი (55), 4-0 ტაუმენტი (59), 5-0 აარსტი (77).
***ვისლა (პოლონეთი)*** — ნიუთაუნი (უელსი) 7-0 (0-0)
1-0 კულავიკი (27), 2-0 სანდი (36), 3-0 კულავიკი (47), 4-0 კალიციაკი (51), 5-0 დუბიცკი (54), 6-0, 7-0 პატერი (61, 66)
***გიოტებორგი (შვედეთი)*** — უნიონი (ლუქსემბურგი) 4-0 (3-0)
1-0, 2-0 ეკსტრიომი (17, 50), 3-0 ჰენრიკსონი (71), 4-0 ეკსტრიომი (79)
სარაევო (ბოსნია) — ***ეკერენი (ბელგია)*** 0-0 (1-4)
ბირკირკარა (მალტა) — ***შახტიორი (უკრაინა)*** 0-4 (1-2)

*შენიშვნა: ფრჩხილებში მოყვანილია პირველი მატჩის შედეგი. შავი შრიფტით გამოყოფილია შემდეგ ეტაპზე გასული გუნდები.*

## ინტერტოტოს თასი

### ნახევარფინალი

რუხი (პოლონეთი) — დებრეცენი (უნგრეთი) 1-0
სიტარდი (ჰოლანდია) — ზალცბურგი (ავსტრია) 2-1
ვერდერი (გერმანია) — სამსუნსფორი (თურქეთი) 3-0
ბასტია (საფრანგეთი) — ვოივოდინა (იუგოსლავია) 2-0
ბოლონია (იტალია) — სამპდორია (იტალია) 3-1
ესპანიოლი (ესპანეთი) — ვალენსია (ესპანეთი) 0-1

### ვინ თქვა, სტუმარი ღვთისააო?

**საფრანგეთის სამხრეთში მდებარე სოფელში, რომელშიც სულ 50 კომლი ცხოვრობს, უჩვეულო ამბავი მოხდა — სიძემ ქორწილი გადადო — ქვეყნის საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველმა, კიკინებიანმა ემანუელ პეტიმ იძულებით გადადგა ეს ნაბიჯი. პეტის ქორწილი უნდა გადაეხადა მონაკოს მახლობელ დაბა ეზში. მან წვეულებაზე მთელი საფრანგეთის ნაკრები დაპატიჟა. ეს ცნობა უმალვე მოედო ახლომახლო მდებარე დასახლებულ პუნქტებს და პეტის ვილა გულშემატკივრებმა აავსეს.**

**სახიძომ დაუპატიჟებელი სტუმრების ახალაგმავად პოლიციას უხმო, მაგრამ ამაოდ, გულშემატკივართა რაოდენობა დღითი დღე მატულობდა. ცხადია, ნაკრების ფეხბურთელების ჩამოხვლასთან ერთად გულშემატკივართა რიცხვიც მოიმატებდა და შეიძლება ქორწილი ჩაშლილიყო. ამიტომ პეტიმ პოლიციელების თხოვნით ქორწილი სხვა დროისთვის გადაიტანა.**

### როცა ფრანგი ინგლისელს ჭკუას ასწავლის

„ინგლისის პრემიერ-ლიგაში უცხოელი ფეხბურთელების მომრავლება აქაურ ნაკრებს ცუდ მომავალს უქადის" — განაცხადა ჩემპიონის ტიტულის მფლობელის ლონდონის „არსენალის" ფრანგმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა. მისი თქმით, ნაკრების მთავარ მწვრთნელს გლენ ჰოდლს მალე დიდი პრობლემები შეექმნება, ვინაიდან „ვერაფერი შეუშლის ხელს უცხოელი ფეხბურთელების მოზღვავებას და ამით ხელი შეეშლება ახალგაზრდა ინგლისელი მოთამაშეების ზრდას... გადახედეთ უახლოეს 30 წელს. ფრანგები უამრავი ახალგაზრდული ტურნირის ფინალში გავიდნენ იმიტომ, რომ ფეხბურთელები საზღვარგარეთ თამაშობენ საუკეთესო კლუბებში, ფრანგული გუნდები კი ძირითადად ადგილობრივი ახალგაზრდებით საზრდოობენ და მათ ზრდიან". სხვათა შორის, ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის ცნობით, ამ ქვეყანაში 220 უცხოელი მოთამაშეა, მათ შორის 2 ქართველი ლეგიონერია — კახი ცხადაძე და მურთაზ შელია.

ვენგერის თეორიით რომ ვიხელმძღვანელოთ, საქართველოს ნაკრები სიძლიერით ერთ-ერთი პირველი უნდა იყოს მსოფლიოში, მაგრამ...

### ჰამანი ქეცბაიას თანაკლუბელი გახდა

**გერმანიის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი დიტმარ ჰამანი ერთ-ერთი იმ გამონაკლისთაგანია, რომელმაც განვლილ მონდიალზე შედარებით კარგად ითამაშა. ბერტი ფოგთსის გუნდიდან მიმომხილველები მხოლოდ ჰამანს, იორგ ჰაინრიხს და კრისტიან ვიორნს გამოჰყოფენ. ჰაინრიხი „ფიორენტინაში" ტრაპატონის მიწვევით გადავიდა, ვიორნსს მოლაპარაკება აქვს ერთ-ერთ ესპანურ კლუბთან. მოსალოდნელი იყო, რომ ჰამანიც არ დარჩებოდა ხელექციონერთა ყურადღების გარეშე. ასეც მოხდა.**

**უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, დიტმარ ჰამანი ამიერიდან ინგლისურ „ნიუკასლში" ითამაშებს, იმ გუნდში, სადაც ქართველი ლეგიონერი თემურ ქეცბაია ასპარეზობს. იტყობინებიან, რომ „ნიუკასლმა" გერმანელ ფეხბურთელში მიუნხენის „ბაიერნს" 8 მილიონი დოლარი გადაუხადა. ახალწვეული „ნიუკასლში" რობი ლის ადგილს დაიკავებს, რომელიც „ვესტ ჰემში" გადავიდა. ხელმოწერილი კონტრაქტით ჰამანი კვირაში 20 ათას გირვანქა სტერლინგს მიიღებს, სულ კი ფეხბურთელი ინგლისურ კლუბში 5 წელიწადს დაჰყოფს.**

### საფეხბურთო „გადაკახილი" ინგლისი — საფრანგეთი

ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლეირმა გადაწყვიტა ინგლისსა და საფრანგეთს შორის მოაწყოს მუდმივი საფეხბურთო „ხიდი", განამტკიცოს ორი ქვეყნის მეგობრობა. ამ მიზნით მან ახალგაზრდა ფრანგი ფეხბურთელები იმ ქალაქებიდან, სადაც სულ ცოტა ხნის წინათ თამაშობდნენ ინგლისისა და შოტლანდიის ნაკრებები (და ძალიან გულთბილადაც მიიღეს), ინგლისში მიიწვია. ეს მიწვევა ბლეირმა ფეხბურთელებს კოლეგის, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ ლიონელ ჟოსპენის პირით გადასცა, რომელიც ახლა სწორედ ინგლისში იმყოფება.

ბლეირის სიტყვით, ახალგაზრდა ფრანგები დაესწრებიან პრემიერ-ლიგის თამაშებს, საუკეთესო ინგლისელ და შოტლანდიელ ოსტატებთან ერთად ივარჯიშებენ!

— მსოფლიო ჩემპიონატის ტრიუმფმა და დრამამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ფეხბურთის ძალა გააერთიანოს სხვადასხვა ფენის და კულტურის ადამიანები — განაცხადა ბლეირმა — ინგლისელი და შოტლანდიელი გულშემატკივრები მთელ თვეს გრძნობდნენ ფრანგების სტუმართმოყვარეობას. ამიტომაც გვინდა დავამყაროთ მტკიცე „საფეხბურთო" კავშირი ინგლისს, შოტლანდიასა და საფრანგეთს შორის. ამის საფუძველი უკვე არსებობს: ახლა ცნობილი ფრანგი ფეხბურთელების მთელი რიგი ინგლისის წამყვან კლუბებში გამოდის.

### არაფითარი სუპერლიგა!

**უეფას ხელმძღვანელობას სრულიად მიუღებლად მიაჩნია ევროპის ზოგიერთი წამყვანი საფეხბურთო კლუბის წარმომადგენლების აზრი სუპერლიგის შექმნის შესახებ. ამის გამო განცხადება გააკეთა უეფას გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა.**

**ეს სუპერლიგა კონკურენციას გაუწევდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის, ანუ ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას. ამიტომაც უეფა არ აპირებს დაუშვას ასეთი ახალი საერთაშორისო ტურნირის მოწყობა. თუკი კლუბები მაინც იჯიუტებენ, უეფა მათ იმ ტურნირებიდან გარიცხავს, რომლებსაც იგი აწყობს.**

**თავის მხრივ უეფაც განიხილავს ზოგიერთ წინადადებას ჩემპიონთა ლიგის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ევროპული ფეხბურთის „გრანდებს" შეიძლება ჩემპიონთა ლიგაში მუდმივად, ყოველგვარი შერჩევის გარეშე მიეცეთ მონაწილეობის უფლება. ეს თავისთავად განაიარაღებს სუპერლიგის შექმნის მსურველებს.**

**უეფას ასეთი რეაქცია სულ ცოტა ხნის წინათ ლონდონში ცხრა წამყვანი ევროპული კლუბის წარმომადგენლების თათბირმა გამოიწვია, რომლებმაც „სუპერლიგის" (რომლის იდეა საკმაოდ ძველია) შექმნის საკითხები განიხილეს. ეს თათბირი გასაიდუმლოებული იყო, დეტალები დღემდე ცნობილი არ არის.**

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ვიტალი (უმცროსი) დარასელიას 2 გოლი

უკრაინის ჩემპიონატმა, რომელიც სულ ახლახან დაიწყო, ჩვენი ყურადღება მიიპყრო.

აქამდე არაერთგზის ვწერდით ტყუპი ძმების ტარიელ და ავთანდილ კაპანაძეების წარმატებების შესახებ, რომლებიც ტერნოპოლის „ნივაში" გამოდიან. ახლა მიხეილ ფოცხვერია დონეცკის „შახტიორში" კახი კალაძე კიევის „დინამოში", ვიტალი დარასელია — კიევის ცსკა-ში...

ვალერი ლობანოვსკისთან არასოდეს ყოფილა იოლი მუშაობა, რასაც ბევრი ფეხბურთელი ვერ უძლებს. და აი კიევის „დინამომ" არმიელთა კლუბ ცსკ-ას იჯარით გადასცა რამდენიმე ცნობილი ოსტატი, მათ შორის უკრაინის ნაკრების მოთამაშეები, საუკეთესო სნაიპერი ვიქტორ ლეონენკო და მცველი სერგეი ბეჟენარი.

უკრაინის პირველობაზე სულ 4 ტურია ნათამაშევი, ცსკას 7 ქულა აქვს, იმდენივე, რამდენიც კიევის „დინამოს" და კაპანაძეების „ნივას". წინ, 8 ქულით კრივოიროგის „კრივბასია". საინტერესოა ისიც, რომ, როცა ცსკა-მ ხარკოვის „მეტალისტთან" გაიმარჯვა ანგარიშით 2-1, სტუმრები მეტად მჭიდროდ კი იჭერდნენ ლეონენკოს, მაგრამ ამასობაში ჭაბუკ ვიტალი დარასელიასაგან ორი გოლი მიიღეს. მისმა თამაშმა კომენტატორების მაღალი შეფასება დაიმსახურა.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ზაგალოს ნავიდა, ისევ პარეირა?

მაშ ასე, ზაგალოს ერაც დასრულდა. ამ დღეებში ცნობილი მწვრთნელი ბრაზილიის ნაკრებიდან გაუშვეს. ამ ფაქტის კომენტირებისას ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის თავმდგომმა რიკარდო ტეიშეირამ განაცხადა: „ეს გადაწყვეტილება დიდი ხნის ფიქრის მერე მივი-




ღეთ. მწვრთნელთა მოღვაწეობა, მართალია, დადებითად შეფასდა, მაგრამ მათ მაინც ველარ გავაჩერებდით, ვინაიდან საზოგადოება მხოლოდ უმაღლესი ტიტულების მოპოვებას ითხოვს. ახლა გვჭირდება ისეთი სპეციალისტები, რომლებიც გუნდში 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებამდე იმუშავებენ და ნაკრებს უძლიერესის ტიტულს დაუბრუნებენ“.

ზაგალომ მის მიმართ გამოტანილი განაჩენი რომ შეიტყო, ნაღვლიანად უთხრა ჟურნალისტებს: „ჩემთვის დაუვიწყარია ნაკრებში გატარებული წლები. ძალიან მინდოდა მონდიალში გამარჯვება. სამწუხაროდ, ეს არ გამოვიდა“.

ახლა ყველას აინტერესებს, ვინ იქნება ზაგალოს შემცვლელი. მიმომხილველები უმთავრესად სამ კანდიდატურას ასახელებენ. ესენია — საუდის არაბეთის ნაკრებიდან დათხოვნილი კარლოს ალბერტო პარეირა, რომელმაც ბრაზილიას 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატი მოაგებინა, „პალმეირასის“ მწვრთნელი ფილიპე სკოლარი, „კორინტიანსის“ თავმდგომი ვანდერლეი ლუქსემბურგი.

## მარადონას ესპანეთში ეპატიჟებიან

**ესპანეთის** მეორე დივიზიონის „ბადახოსი“ არაფრით გამორჩეული გუნდია, ახლა კი იგი ყურადღების ცენტრში მოექცა და აი, რატომ.

„ბადახოსის“ კლუბის პრეზიდენტია წარმოშობით არგენტინელი, მრავალი საქმის „მომკვარახჭინებელი“ მაურისიო ტინელი. იგი, ***მარადონას*** პირად აგენტს გილერმო კოპალას აუხირდა – გინდა თუ არა მსურს დიეგო ჩემს გუნდში ვიხილოო. თურმე მარადონას ეს იდეა მოსწონებია და ახლა, თუ მხარეები ფინანსურ საკითხზე შეთანხმდებიან, ფეხბურთის ვარსკვლავი ესპანეთში გადავა.

## ნიგერიელმა ფრანგული მიწა „დააჯაშნიკა“

**ჯერ** კიდევ შარშანწინ ნიგერიელი ნახევარმცველი ***ჯეი ჯეი ოკოჩა*** ფრანკფურტის „აინტრახტში“ გამოდიოდა. მერე თურქული „ფენერბახჩეს“ მესვეურებს მოუვიდა თვალში და იგი გადაიბირეს. საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში ნიგერიელი თავისი უბადლო ოსტატობის წყალობით საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. თავად ფეხბურთელსაც ძლიერ მოეწონა ობიექტური ფრანგი გულშემატკივარი, ჟურნალისტებსაც არაერთხელ განუცხადა, რომ სიამოვნებით გააგრძელებს კარიერას რომელიმე იქაურ კლუბში.

და აი, უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა იმის თაობაზე, რომ ოკოჩა მალე „პარი სენ-ჟერმენში“ გადავა.

## ინგლისელები მზად არიან

ცნობამ იმის შესახებ, რომ სამხრეთკორეელი ორგანიზატორები ფიფას სთხოვენ ივნის-ივლისიდან სექტემბრისთვის გადაწიონ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ვადა, დიდი დაინტერესება გამოიწვია ინგლისში. ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას „მდგომარეობის ხსნა“ სურს – თავად ჩაატარებს მსოფლიო ჩემპიონატს.

რაც შეეხება ჩემპიონატის ვადების გადაწევას, ამას არც ინგლისელები ეთანხმებიან და არც მსოფლიოს ბევრი სხვა სახელმწიფოს ფედერაციები, თუნდაც იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ეროვნული ჩემპიონატები ერთი, ან თუნდაც ორი თვით ადრე უნდა დაიწყოს.

მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ორგკომიტეტი, რომელიც უკვე შექმნილია, ოპერატიულად დაუკავშირდა ფიფას და შეატყობინა, რომ თუ იაპონიისა და სამხრეთ კორეის ნაცვლად მას მიანდობენ ამ უფლებას, შეძლებს იგი 4 წლით ადრე ჩაატაროს.

საერთოდ კი, ყველა გადაწყვეტილება უშუალოდ ფიფამ უნდა მიიღოს. ზოგი ცნობით, სამხრეთკორეელებმა რთული თამაში წამოიწყეს. მათი მიზანია 2002 წლის ჩემპიონატის მთელი სიმძიმე იაპონიას დააკისრონ, რომ თავისი ქვეყნის ეკონომიკა კრიზისისაგან იხსნან.

როგორც ფიფას წარმომადგენელმა კეიტ კუპერმა განაცხადა, მსოფლიო ჩემპიონატი ყოველთვის ივნისსა და ივლისში ტარდება. როცა სამხრეთ კორეა აცხადებს, რომ ეს ვადები მას პრობლემებს უქმნის, უნდა შეისწავლონ ყველა სხვა ვარიანტიც.

– ჯერ პანიკის საფუძველი არ არსებობს – განაცხადა სამხრეთ კორეის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჩუნგ მუნ ჯუნმა – საბოლოოდ ეს საკითხი მოგვიანებით, უფრო ზუსტად კი, წლევანდელი წლის დასასრულს გადაწყდება.

მან დაუმატა, რომ ოლიმპიადა-88 სეულში სექტემბერში ჩატარდა, ოლიმპიადა-84 ტოკიოში – ოქტომბერში.

– როცა საფრანგეთში 10 ივნისიდან 12 ივლისამდე მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობდა – განაცხადა პრეზიდენტმა – ორივე ჩვენი ქვეყანა გაუთავებელი წვიმის გამო კინაღამ წყალმა წაიღო.

მსოფლიო ჩემპიონატის კალენდრის შეცვლა მეტად რთული საკითხია, რადგან საამისოდ საჭიროა შეთანხმება ყველა ეროვნულ ფედერაციასა, ლიგასა და კლუბთან, როგორც ევროპაში, ისე სამხრეთ ამერიკაში.

## ჟაკეს ლამერი შეცვლის

როგორც ვიტყობინებოდით, მონდიალის დამთავრებისთანავე მსოფლიო ჩემპიონის, საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ემე ჟაკე გუნდს გამოეთხოვა. მას შემდეგ მთელ ქვეყანაში მიდის მსჯელობა, ვის არგუნონ ეს პოსტი. და აი, ამ დღეებში საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა კლოდ სიმონემ ოფიციალურად განაცხადა, რომ ნაკრების თავკაცობა მიენდო 57 წლის ***როჟე ლამერს.*** მასთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმეს და იგი ნაკრებს ევრო-2000-ის დასრულებამდე უხელმძღვანელებს.

ამთავითვე აღვნიშნავთ, რომ ლამერი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა — მან ჩაიბარა მსოფლიოს ჩემპიონი გუნდი და ახლა მისგან მხოლოდ წარმატებებს ელიან.

ლამერის სამწვრთნელო კარიერა მოკრძალებულია. 1978 წელს იგი წვრთნიდა პირველი დივიზიონის გუნდს. გასულ სეზონში სათავეში ედგა ლენსის კოლექტივს.

## გარდაიცვალა აიმორე მორეირა

გარდაიცვალა 87 წლის გამოჩენილი ბრაზილიელი მწვრთნელი აიმორე მორეირა. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სხვადასხვა ბრაზილიურ კლუბს, ხოლო 1962 წელს ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებული ბრაზილიელების მთავარი მწვრთნელი იყო.

აიმორე მორეირა ცხოვრობდა ბაიას შტატის მთავარ ქალაქ სალვადორში. იგი გულის შეტევის შემდეგ ადგილობრივ საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც მისი ხსნა შეუძლებელი აღმოჩნდა.

## უკრაინელებთან მარცხს კოლოსკოვს არავინ აპატიებს

მართალია, რუსეთის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი ანატოლი ბიშოვეცი ამ თანამდებობაზე სულ ერთი კვირის წინათ დანიშნეს, იგი აქტიურად შეუდგა საქმიანობას, მით უმეტეს, 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი კარსაა მომდგარი — უკვე 5 სექტემბერს რუსეთელები კიევში უკრაინის ნაკრებს ეთამაშებიან.

პირველ რიგში, ბიშოვეცი დაუკავშირდა იმ ლეგიონერებს, რომლებიც გუნდის ყოფილ მწვრთნელს ბორის იგნატიევს თვალში არ მოსდიოდა. ესენია ანდრეი კანჩელსკისი, იგორ შალიმოვი, სერგეი კირიაკოვი, საზღვარგარეთ მოთამაშე სხვა რუსი ფეხბურთელები და ისინი თანამშრომლობაზე დაითანხმა. ასე მაგალითად, ანდრეი კანჩელსკისზე ბიშოვეცმა თქვა: „მას კარგა ხანს ველაპარაკე, ბევრ საკითხში სიცხადე შევიტანეთ და საბოლოოდ იგი დაგვთანხმდა ნაკრებში თამაშზე, ჩვენ ასეთ ფეხბურთელზე უარს ვერ ვიტყვით.“

სხვათა შორის, კანჩელსკისთან დაკავშირებით „ლელოში“ არაერთი მასალა დაბეჭდილა. მკითხველმა იცის, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში წარუმატებლად გამოსვლის შემდეგ ამ ფეხბურთელმა უარი თქვა იგნატიევის ნაკრებში თამაშზე და ამის მიზეზად მწვრთნელის არასწორი სათამაშო ტაქტიკა მოიყვანა. გარდა ამისა, რეინჯერსელმა პრეტენზია გამოთქვა შრომის ანაზღაურების იმ სისტემაზე, რომელიც დანერგილი იყო რუსეთელთა ნაკრებში. და აი, ახალი მწვრთნელის მოსვლის შემდეგ, თითქოსდა, კანჩელსკისის პრობლემა მოგვარდა.

უფრო რთულადაა საქმე სხვა ლეგიონერებთან მიმართებით. ასე, სერგეი კირიაკოვს ნაკრებში უკვე ორი წელია არ უთამაშია. ინგლისში გამართულ ევრო-96-ზე ნაკრების მაშინდელმა მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა განაცხადა, რომ კირიაკოვი საქმისადმი ზერელე დამოკიდებულების გამო ცუდად მოქმედებს ფეხბურთელებზე და იგი ნაკრებიდან დაითხოვა. იგივე მოიმოქმედა რომანცევმა ალექსანდრე მოსტოვოისა და ვალერი კარპინის მიმართ. ახლა კი ანატოლი ბიშოვეცი აცხადებს, რომ ყველა ამ ფეხბურთელს თავის გამოჩენის შანსი მიეცემათ — 19 აგვისტოს რუსეთის ნაკრები ამხანაგურ მატჩს გამართავს შვედეთის გუნდთან.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, ევრო-2000-ზე პირველ შეხვედრას რუსეთელები უკრაინელების წინააღმდეგ გამართავენ. ეს მეტად პრინციპული თამაში იქნება, თანაც პოლიტიკური შეფერილობა მიეცემა. უკრაინასთან მარცხს რუსეთის გუნდს არავინ აპატიებს. მიმომხილველთა აზრით, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ბიშოვეცი იმდენად რუსეთის საფეხბურთო კავშირის დანიშნული არ არის, რამდენადაც უმაღლესი ხელისუფლებისა, კავშირის პრეზიდენტის ვიაჩესლავ კოლოსკოვის ბედი ბეწვზე ჰკიდია.

## მათთვის არ არსებობს „სხვისი მინდორი“

რუსეთის პირველ დივიზიონში რომ მაინცდამაინც მაღალი კლასის კლუბები არაა თავმოყრილი, ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება. აქ დებულება ასეთია: 22 გუნდიდან 2 უძლიერესი გაისად უმაღლეს დივიზიონში გადავა, 5 უარესი კი — მეორეში.

ორი წლის წინათ ეს ასპარეზობა ძირითადად იმიტომ გვაინტერესებდა, რომ გივი ნოდიას „ლოკომოტივში“ (სანკტ-პეტერბურგი) წარმატებით თამაშობდნენ ვარლამ და გია კილასონიები. ისე კი, ამ ჯგუფში ახლაც ბევრი ქართველი ლეგიონერი გამოდის, მათ წარმატება არა აქვთ.

ერთი რამ კი საკმაოდ საყურადღებოა. ტულის „არსენალი“ არასოდეს ყოფილა მაინცდამაინც ძლიერი და პრეტენზიული კლუბი, ახლა ძლიერიც არის და პრეტენზიულიც! ყველაფერი დაკავშირებულია ცნობილ მწვრთნელ ევგენი კუჩერევსკის სახელთან, რომლის ხელმძღვანელობითაც ოდესღაც დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა და თასიც მოიპოვა. ახლა კი კუჩერევსკიმ, სხვა გამოსავალი რომ ვერ მონახა, აი რა ჩაიფიქრა: მან გუნდში ერთბაშად 9 (!) ბრაზილიელი მიიწვია.

ბრაზილიელებმა, ცივ ქვეყანაში რომ ჩამოვიდნენ, დასაწყისში დიდ ვერაფერს მიაღწიეს. მართლაც და მარტ-აპრილში მათთვის თამაში გაყინულ მინდვრებზე წარმოუდგენელია. ზოგმა ეს ბრაზილიელების სისუსტედ მიიჩნია „არსენალი“ ვერაფრით გამოირჩეოდა, იგი უფრო ამ დივიზიონის საშუალო გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ესეც არ მიაჩნდათ ცუდ შედეგად — ბოლოს და ბოლოს, „არსენალი“ ხომ ახლა გადმოვიდა მეორე დივიზიონიდან, რომელსაც ადრე ლიგა ერქვა.

აი, რა განაცხადა მაშინ კუჩერევსკიმ:

— ჯერ გუნდმა თავის თამაშს უნდა მიაგნოს. „ეკვატორს“ რომ მივაღწევთ, თუ პირველ ხუთეულში ვიქნებით, შემდეგ შეიძლება უმაღლეს დივიზიონში გასვლასაც შევეცადოთ.

ისე ნუ იფიქრებთ, რომ ეს ბრაზილიელები სულ „უპატრონო“ ხალხია. „პალმეირასის“ ყოფილი მცველი ტონიაო ბრაზილიისა და სან-პაულუს შტატის ჩემპიონი იყო, დანიელი იაპონიის „ჯეი-ლიგაში“ თამაშობდა, ანდრადინა საუკეთესო სნაიპერია (მან უკვე 11 გოლი გაიტანა).

რაც დრო გადის, „არსენალი“ სულ უფრო იუმჯობესებს სატურნირო მდგომარეობას. „ეკვატორს“ მან 35 ქულით მიაღწია, ისე რომ, სულ სამი გუნდი უსწრებს. 3 მოგება აქვს, 8 ფრე და 4 წაგება, ბურთები 31-25. და ერთი რამეა მეტად საინტერესო, თუ გუნდები ქულებს, როგორც წესი და რიგია, ძირითადად საკუთარ მინდორზე იგროვებენ, „არსენალი“ სტუმრად უფრო ხშირად იგებს, ვიდრე შინ. ამას იოლად ხსნიან — ბრაზილიელისათვის რა განსხვავებაა, ტულაში თამაშობს, ნიჟნი ნოვგოროდსა თუ ნალჩიკში!

შეიძლება ბრაზილიელების კლუბმა რუსეთის პირველ დივიზიონში გაიმარჯვოს? ვნახოთ, შეჯიბრება კი აშკარად საინტერესო ხდება.

ბივი თორელი

## მართლაც უბერებელი!

# მიკვირს და გამკვირვებიათ...



იტყვის ქართველი. საქართველოში ნამდვილად აღარ არის მერაბ მეგრელაძის ასაკის ფეხბურთელი. მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ქუთაისის ტორპედოში მერაბი თავის ვაჟ გიასთან ერთად გამოდიოდა, მან ჩათვალა, რომ ფეხბურთთან გამოთხვების დრო დადგა. თუმცა ასეთი რამ ხომ ადრეც ბევრჯერ განუცხადებია...

და აი, როცა წლევანდელ ზამთარს საქართველოს ნოვოსიბირსკის „ჩკალოვეცი“ ეწვია, მისი ხელძღვანელობა დარწმუნდა, რომ ეს ვეტერანი კიდევ სჯობდა ბევრ ახალგაზრდა თავდამსხმელს და კონტრაქტი შესთავაზა. მერაბმა ველარ მოითმინა და...

მერაბი, რა თქმა უნდა, კვლავ თამაშობს და გოლები გააქვს. ამას წინათ, რუსეთის თასზე რუბცოვსკის „ტორპედოსთან“ შეხვედრაში, რომელიც „ჩკალოვეცმა“ მოიგო 4-3, ერთი ბურთი სწორედ მერაბ მეგრელაძის ანგარიშზეა. საერთოდ კი, „ჩკალოვეცი“ დიდი უპირეტესობით ლიდერობს რუსეთის მეორე დივიზიონის აღმოსავლეთის ზონას და პირველ დივიზიონში გადასვლის კარგი შესაძლებლობები აქვს.

*სურათზე: მერაბ მეგრელაძე ისევ თამაშის სტიქიაშია!*

## ჭადრაკის ახალი ამბები

# მაია, ნანა, დიანა...

წარმატებულ სეზონს რომ ეტყვიან, სწორედ ეს გახლავთ. დიანა დარჩიამ წლეულს პირველ ექვს თვეში 100 სარეიტინგო პუნქტი დაიმსახურა, საერთაშორისო ტურნირებში დიდოსტატის ნორმა შეასრულა და ახლა ფიდეს მორიგმა კონგრესმა ეს უმაღლესი წოდება უნდა მიანიჭოს.

ახლა დიანა (დაბ. 1977 წლის 18 ოქტომბერს) მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკე ქალების რეიტინგ-ლისტში 2445 პუნქტით უკვე მეთექვსმეტეა, რაც მის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ამ მონაცემებით მან უკვე გაუსწრო ცნობილ დიდოსტატებს, ქეთევან არახამიასა და ქეთევან კახიანს. ქართველ მოჭადრაკეთაგან იგი უკვე მესამეა მაია ჩიბურდანიძესა და ნანა იოსელიანის შემდეგ.

ვუსურვოთ ჩვენს ნიჭიერ ქალიშვილს შემდგომი წარმატებები!

# ანანდის ვერ გადაურჩა...

როცა ამ რამდენიმე წლის წინათ საჭადრაკო მანქანამ სძლია დანიელ დიდოსტატ ბენტ ლარსენს, მაშინ ეს დიდ სენსაციად ჩაითვალა. შარშან კი მართლაც წარმოუდგენელი რამ მოხდა: „დიპ ბლიუმ“ მატჩი მოუგო თვით მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვს.

და აი, ამ დღეებში იტალიის კუნძულ ისკიაზე (ნეაპოლის ყურე) მოეწყო პროგრამა „რებელ 10,0“-ის მატჩი გამოჩენილ ინდოელ დიდოსტატ ვიშვანათან ანანდთან, რომელსაც დღეს მსოფლიოში მეორე რეიტინგი აქვს გარი კასპაროვის შემდეგ.

მატჩის დებულება მეტად თავისებური იყო. ჯერ მეტოქეებს ოთხი ელვისებური პარტია (სადაც თითოეულს მოსაფიქრებლად სულ 5 წუთი ეძლევა) უნდა ეთამაშათ. შემდეგ დანიშნული იყო ორი „სწრაფი პარტია“ (აქ მოჭადრაკეს შეუძლია 15 წუთი იფიქროს), ბოლოს კი ორი შეხვედრა „ნორმალურ“, გნებავთ „კლასიკურ“ ჭადრაკში (2 საათი 40 სვლაზე).

ჯერ იყო და „რებელ 10,0“-ს დიდი უპირატესობა ჰქონდა ელვისებურ შეხვედრებში: ზედიზედ მოიგო პირველი სამი პარტია, ანანდმა კი მეოთხე. ანგარიში გახდა 3-1. ორმა სწრაფმა პარტიამაც უპირატესობა მანქანას მოუტანა: 1,5:0,5. ანანდმა უკეთ მხოლოდ „ნორმალურ“ პარტიებში ამოისუნთქა – ერთი მოიგო, მეორე ყაიმით დაასრულა, თუმცა მატჩი საბოლოო ანგარიშით მაინც წააგო.

საბოლოო ანგარიშია 5:3 „რებელ 10,0“-ის სასარგებლოდ.

# 3 დეკემბერის შორს არაა

მსოფლიო ჩემპიონმა (ფიდეს ვერსიით) ანატოლი კარპოვმა, რომელმაც ოლიმპიურ სასამართლოში უჩივლა ფიდეს პრეზიდენტს კირსან ილიუმჟინოვს მის მიერ მსოფლიო ჩემპიონობის ციკლის ორიდან ერთ წლამდე შემცირებისა და საპრიზო ფონდის 5-მილიონიანი დოლარიდან სამამდე შემცირების გამო, განაცხადა, რომ დეკემბერში აუცილებლად დაიცავს თავის წოდებას. მსოფლიო ჩემპიონატი 3 დეკემბერს ლას-ვეგასში (აშშ) დაიწყება.

ახლა კი კარპოვი ტურნეს მართავს სამხრეთ ამერიკაში. მან ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში ერთდროული თამაშის სეანსი გამართა 60 დაფაზე, აქედან 59 მოიგო და მხოლოდ ერთი შეხვედრა დაასრულა ყაიმით 15 წლის უსინათლო მოჭადრაკესთან.

ტურნეს პროგრამაშია აგრეთვე მატჩი ჩილეს უძლიერეს დიდოსტატ ივან მოროვიჩთან. შემდეგ კარპოვი პერუს ეწვევა, სადაც ერთდროული თამაშის სეანსს გამართავს ქვეყნის ნაკრებთან.

# ამერიკელები – უპროფესიონალებოდ



29 ივლისს ათენში დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში ვაჟთა შორის, სადაც ხუთივე კონტინენტის 16 გუნდი მონაწილეობს. ამერიკელთა ნაკრები ამ შეჯიბრებაში სულაც არაა ფავორიტი, ვინაიდან საბერძნეთში ვერ ჩავიდნენ უძლიერესი პროფესიონალი კალათბურთელები — ნბა-ში გამოცხადებული ლოკაუტის გამო მოთამაშეებმა პირი შეკრეს და არანაირ ასპარეზობაში არ მონაწილეობენ. ამგვარად, აშშ-ს ნაკრები ძირითადში სტუდენტური კალათბურთის წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული.

შექმნილი ვითარების გამო მიმომხილველები ფავორიტად მიიჩნევენ იუგოსლავიის ნაკრებს, თუმცა მასაც დაკომპლექტების პრობლემები აქვს: ტრავმირებულნი არიან საშა ჯორჯევიჩი და პრედრაგ დანილოვიჩი, გარდა ამისა, კოლექტივი დატოვეს ზორან სავიჩმა და ჟარკო პესპალმა მწვრთნელთან კონფლიქტის გამო.

როგორც არასდროს, ძლიერად გამოიყურება საბერძნეთის ნაკრები — გულშემატკივრების მხარდაჭერით მასპინძლები უთუოდ შეეცდებიან იბრძოლონ უმაღლესი ტიტულის მოსაპოვებლად. ფავორიტებში მოიხსენიებენ აგრეთვე ლიტვის, რუსეთის, ბრაზილიისა და ავსტრალიის გუნდებს.

**გაიმართა პირველი მატჩები:**

„A“ **ჯგუფი:** კანადა – საბერძნეთი 72:78, იტალია – სენეგალი 76:66;
„B“ **ჯგუფი:** რუსეთი – იაპონია 83:58, იუგოსლავია – პუერტო-რიკო 80:66;
„C“ **ჯგუფი:** ლიტვა – კორეა 97:56, აშშ – ბრაზილია.83:59;
„D“ **ჯგუფი:** ავსტრალია – არგენტინა 62:66, ნიგერია – ესპანეთი 68:80.

## რა ხდება ქვეყანაზე

### ვისი თანხებით?

**ახლახან საფრანგეთში დამთავრებულ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატში ხელმოცარულთა რიგები ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა ჯგუფმაც შეავსო. სამინისტროს ალმახკომის 16 დიპლომატი დაითხოვეს სამსახურიდან ჭორების გავრცელებისათვის.**

ჭორები კი, მრავალტირაჟიანმა გაზეთებმა რომ მოსდეს ქვეყანას, სამინისტროს გენერალურ დირექტორს ეითან ბენ-ცურას ეხებოდა, რომლის თანახმადაც მაღალჩინოსანი მოხელე, ოჯახთან ერთად საფეხბურთო ბატალიების ცქერით ტკბებოდა სამსახურეობრივი მდგომარეობისა და სახელმწიფო ხარჯზე. სხვათა შორის, პრესა იმასაც იუწყებოდა, რომ მარტო ბენ-ცური არ აღმოჩენილა „მოულოდნელად“ საფრანგეთში ჩემპიონატის დღეებში; იქ ერთდროულად ათეულზე მეტი ისრაელის სახელმწიფო, პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწე იმყოფებოდა.

მათ საკუთარი ჯიბიდან გადაიხადეს ფეხბურთით სიამოვნების საფასური თუ არა, არავინ იცის!

### ფრანგებს იმედი მოუვიდათ

მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის სანიმუშო მასპინძლობით აღფრთოვანებული ფრანგები ფიქრობენ, რომ სულაც არ იქნება ურიგო 2008 წლის ოლიმპიური თამაშები ჩაატარონ. ქალაქის მერმა ჟან ტიბერიმ განაცხადა, — პარიზი წინასაარჩევნო „რბოლაში“ ჩასაბმელად მზადაა.

თუმცა, ფრანგებს კარგად ახსოვთ, მათმა ქალაქმა ლილმა, როგორი კრახი განიცადა, როცა კენჭს იყრიდა 2004 წლის თამაშების ჩასატარებლად. მისი მეტოქეები იქნებიან: ტორონტო, ოსაკა, სტამბული, სევილია და ბუენოს-აირესი. არჩევნები 2001 წელს ჩატარდება.

ისე რომ, წინ პარიზო!

# კროსვორდი

**თარაზულად:** 3. ქართველი მოჭიდავე, მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი, (ფოტო) 5. ქართველი მოჭიდავე, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, 7. 1974 წლის „ოქროს ბუცის“ მფლობელი, 11. იტალიელი ფეხბურთელი, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 12. ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბი, 14. „ფორმულა-1“ის ფრანგი პილოტი, 15. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 20. წარსულში ცნობილი ქართველი წყალბურთელი, 21. წარსულში გამოჩენილი ქართველი ხელბურთელი, 22. 60-იანი წლების ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი, 23. „ლესტერის“ მცველი, 24. სოკ-ის პრეზიდენტი, 26. 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის თილისმა, 28. „პორტუს“ თავდამსხმელი, 28 „ჩელსის“ მოთამაშე მწვრთნელი, 30. ესპანეთის საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი, 32. ჩეხეთის საფეხბურთო კლუბი, 33. ძველებური ქართული გუნდური შეჯიბრება ცხენოსნობაში, 35. ესტონელი ძალოსანი, მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონი, 36. „ნიუკასლის“ ბელგიელი ფეხბურთელი, 37. სახელგანთქმული შვედი მოთხილამურე, 38. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 39. „დერბი ქაუნთის“ იტალიელი ფეხბურთელი, 41. წარსულში ცნობილი იუგოსლავიელი ტანმოვარჯიშე ვაჟი, 42. ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი, 44. ინგლისის პრემიერლიგის ყველა დროის ბომბარდირი, 49. 1969 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელი (ფოტო) 50. ამერიკელი ბადროს მტყორცნელი, ზედიზედ ოთხი ოლიმპიადის ჩემპიონი. 51. ახლახან „ბაიერნში“ გადასული ჩილეელი ფეხბურთელი, 52. „პარმას“ კოლუმბიელი ფეხბურთელი, 54. სპორტული მოედანი, 57. სპორტული ნაგებობა, 59. წარსულში ცნობილი ესპანელი ველომრბოლი, 61. ცურვის სტილი, 63. საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მცველი, 1984 წლის ევროპის ჩემპიონი, 65. ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი, 66. ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 67. წარსულში ფიფას პრეზიდენტი, 68. რომის ოლიმპიადის ჩემპიონი კრივში, 70. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი, 73. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 74. წარსულში თბილისის „დინამოს“ აფხაზი მცველი, 75. ცნობილი ქართველი ხუთჭიდელი, 77. გამოჩენილი ინგლისელი სპრინტერი, ოლიმპიური ჩემპიონი, 78. 1963 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელი, 79. წარსულში ცნობილი ქართველი წყალბურთელი.

**შვეულად:** 1. 1992 წლის სამხრეთ ამერიკის რჩეული ფეხბურთელი, 2. საქართველოს რაგბისტთა კლუბი, 3. უნგრეთის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი, 4. მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ვაჟთა შორის 1935-37 წლებში, 6. „იუვენტუსის“ და იტალიის ნაკრების ყოფილი ფორვარდი (ფოტო) 8. 70-80-იანი წლების ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 9. 1958 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ბომბარდირი, 10. ინგლისელი ფეხბურთელი, 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 13. ქართველი მოჭადრაკე ქალი, 14. ქართველი მოფარიკავე, სეულის ოლიმპიური ჩემპიონი, 16. 1975 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელი, 17. ესპანელი თავდამსხმელი, მსოფლიოს 1986, 90, 94 წლების ჩემპიონატების მონაწილე (ფოტო) 18. ცნობილი ბრაზილიელი მწვრთნელი ფეხბურთში, 19. ურუგვაელი ფეხბურთელი, 1930 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 24. თბილისის „დინამოს“ და სსრ კავშირის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი, 25. ხორვატი ჩოგბურთელი ვაჟი, 27. „ოქროს ბურთის“ 1983-85 წლების მფლობელი, 29. ესპანელი მეკარე, ევროპის 1964 წლის ჩემპიონი, 31. ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, 34. წარსულში ცნობილი არგენტინელი მწვრთნელი ფეხბურთში, 40. მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკისათვის დაწესებული პრიზი, 41. იუგოსლავიის საკალათბურთო კლუბი, 43. ბულგარეთის საფეხბურთო ნაკრების მცველი, 44. ახლო წარსულში ბელგიის საფეხბურთო ნაკრების მცველი, 45. წარსულში ცნობილი გერმანელი მოცურავე, 46. გერმანელი ფეხბურთელი, 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონი (ფოტო) 47. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 48. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 53. მთამსვლელი, 54. მოკლე დისტანციაზე მორბენალი, 55. წარსულში კიეველი ფეხბურთელი, ამჟამად უკრაინის ნაკრების მწვრთნელი, 56. გერმანელი ფეხბურთელი, 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 58. ინგლისის საფეხბურთო კლუბი, 60. რუსი მოჭიდავე, ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი, 62. პორტუგალიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, 64. აწ განთავისუფლებულ იტალიის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელი, 67. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა, 69. მსოფლიოს ორი საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა, 71. სპორტული თამაში, 82. რუსი ფეხბურთელი, მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონი, 76. შვეიცარიის საფეხბურთო კლუბი.
















## კროსვორდი



შეადგინა ბიძინა წირქვაძემ
(თბილისი)

**წინა ნომრის „კროსვორდის მაგიერის“ პასუხები:** 1. კრესპო („პარმა“); 2. ბელოტი, ლუიზიო, ამბროზეტი (სამივე — „ვიჩენცა“), 3. მონტელა („სამპდორია“).

**საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი და ვეტერანი სპორტსმენი**
**გიორგი დევდარიანი**
**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**
პანაშვიდი 2, 3 VIII 18 სთ. გამოსვენება 4. VIII 15 სთ
მისამართი: მიცკევიჩის, 7.

**გაზეთ „ლელოს“ რედაქცია და შ.პ.ს. „გუმათი“ თანაგრძნობას უცხადებენ თანამშრომელს ეთერ მანგოშვილს მამის გარდაცვალების გამო.**

## ყურადღება!

**კვირიდან – კვირამდე სპორტული გადაცემების ტელეპროგრამა ქვეყნდება „ლელოს“ ყოველი სამშაბათის ნომერში.**

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი (თბილისი)



**შამათი 4 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. გ8ე! მფa2 2. მფc2 განშტოებებით:
2. ...მფa1 3. ეa8 a3 4. ე:a3X,
2. ...მფa3 3. ეg4 მფa2 4. ე:a4X და
2. ...a3 3. ეa8 მფa1 4. ე:a3.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდამონიძე.